# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდ-ვური სიტყვაა, ცრუილებით და ჭორებით ხალ-ხის გაცვანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ორშაბათი, 1 მაისი. 2023 წ. №48 (9580) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი


# მიგვილეთ ისეთი, როგორებიც ვართ!



## საქართველო უპირველეს ყოვლისა!

გაზაფხულისთვის შეუფერებელი ცივი და წვიმიანი ამინდის მიუხედავად, გუშინ რამდენიმეათასიანი მშვიდობიანი მიტინგი მაინც გაიმართა რესპუბლიკის მოედანზე.

შეკრებილ ხალხს მიმართეს აქციის ორგანიზატორებმა გია გაჩეჩილაძემ (უცნობმა), ზაზა პაპუაშვილმა, ვატო შაქარაშვილმა, გურამ შარაძის შვილმა რუსო შარაძემ, ზუტა რობაქიძის დედამ ია მეტრეველმა, პოლიტოლოგმა და ეკონომისტმა ირაკლი გოგავამ, ყოფილმა პოლიტპატიმარმა და აქტივისტმა დაჩი ცაგურიამ, ნაცისტური რეჟიმის წინააღმდეგ მებრძოლმა ახალგაზრდებმა გიორგი ზერეკიძემ, სოფო სიხარულიძემ, მარი მაისურაძემ, ჟურნალისტმა და პოლიტოლოგმა სოსო მანჯავიძემ და სხვებმა.

მიტინგის მთავარი მიზანი იყო საქართველოს გადასარჩენად ჯანსაღი ძალების გაერთიანება, მშვიდობის შენარჩუნება, დამოუკიდებელი პოლიტიკისა და ეკონომიკის მშენებლობა, ქართული ცნობიერების, ეკლესიის, კულტურის, ეროვნული ტრადიციების დაცვა, უცხოური აგენტების „მეგობრული რჩევების“ უგულებელყოფა, ახალგაზრდობის ერის, ქვეყნის სიყვარულით და ქართული ტრადიციებით აღზრდა...

მიტინგზე მიიღეს გამორჩეულად ქართული გზავნილი დასავლეთის ხალხებისა და ხელისუფლებებისადმი!

მირონ ხერგიანი

# რიჟა... თენდება



80 წლისა შესრულდა გამოჩენილი მწერალი, პუბლიცისტი, პოეტი და საზოგადო მოღვაწე, უბატონო სვანეთის ღირსეული შვილი, ქართული სიტყვიერების ერთ-ერთი გამორჩეული კალმოსანი, საქართველოს დიდი პატრიოტი და შესანიშნავი ოჯახის პატრონი მირონ ხერგიანი.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია გულწრფელად ულოცავს ბატონ მირონს საიუბილეო თარიღს და კვლავაც სვანური სიბრძნით და კოლორიტით დაღდასმული ნაწარმოებების შექმნას უსურვებს.

დღეს გთავაზობთ მირონ ხერგიანის რამდენიმე ლექსს და შესანიშნავი ლიტერატურათმცოდნის, კრიტიკოს ზაალ ბოტკოველის ერთობ საგულისყურო წერილს!

მხნედ და ვაჟკაცურად, ბატონო მირონ! 100 წელიწადიც მოგვეელოცოს!

„ს.რ.“-ის რედაქცია

## „ამაოება — ამაოებათა...“

ეჰ, რა დრო იყო!.. მაშინ გული მართლაც გულობდა,
ნაძვების ტევრში კიანთობდი როგორც სანთელი,
იმედი ბროლის ჩქერალივით მოდგაფუნობდა,
ციდან ცვიოდა ოცნებათა თეთრი ფანტელი.

მართლაც, ყოველი მაშინ იყო თითქოს ზღაპრული,
სულს ეზურვოდა სიყვარული ფარვანასავით,
ზამთრის ყინვაშიც იდგა დარი და გაზაფხულის
მზე ენთო გულში, თიმთიმებდა მდელო ზღვასავით...

გამოხდა ჟამი, არც თუ მცირე, არცა თუ დიდი,
ნაძვებმა თითქოს შთანთქეს იგი — მწველი კანდელი,
ქარებმა თითქოს გაიყოლეს, — ჩემად რომ ვთვლიდი
და სამუდამოდ გადახვეტეს — როგორც ფანტელი.

„ამაოება — ამაოთა“ სიცივეს აზნევს,
ამაოებაა თურმე ყოვლი გარეშემოში,
თანდათანობით ნაცრისფერი სევდა შლის აფრებს,
განძთმპყრობელისთვის სანატრელი გამხდარა გროში.

ეჰ, რა დრო იყო!.. მაშინ გული ლომურ გულობდა,
მირიად ფიქრში და ლოცვაში ღამენათევი...
და იმედები ენგურივით მოდგაფუნობდა,
ციდან ცვიოდა ოცნებათა თეთრი ფანტელი...

თემურ ჩალაბაშვილი



# საქართველოზე დიდი მწერალი ჯერ არ დაბადებულა!..

## „როგორ შეიძლება, ლექსი ვწერო და დაჭერის და დაბეზღებების მომხრე ვიყო, მაგრამ, დამნაშავე რომ უნდა დაისაჯოს, მაგას რაღ უნდა ლაპარაკი?!“

**„ფაქტია, რისთვისაც ჩამოვიდა სააკაშვილი საქართველოში, ამოყო თავი იქ, სადაც ახლა არის. მე ათი წელი ვებრძოდი სააკაშვილის რეჟიმს, მაგრამ სააკაშვილი დღეს ჩემთვის აღარ არსებობს“**, – აცხადებს For.ge-სთან საუბრისას ცნობილი პუბლიცისტი და პოეტი **თემურ ჩალაბაშვილი**, რომელსაც ყოველთვის მიაჩნდა და დღესაც მიაჩნია, რომ თავის სამშობლოზე დიდი მწერალი ჯერ არ დაბადებულა, ძალზე დიდი მწერალია ჭაბუა ამირეჯიბი, მაგრამ საქართველოზე დიდი არ არის, არც კონსტანტინე გამსახურდიაა საქართველოზე დიდი, რადგან ჯერ სამშობლოა და მერე მწერალი.

იხ. 8 გვ.

საქართველოს გვარების წინამძღოლთა დარბაზი



იხ. 6 გვ.

# ფალიანები — სვანეთის ისტორიის მემატიანენი

## სალომე ზურაბიშვილი:

# სამხედრო ძალებისგან დღეს ვითხოვთ მეტ პროფესიონალიზმს, მეტ მოქნილობას და მეტ ცოდნას




**ეს დღე არ არის და არც უნდა იყოს მხოლოდ ფორმალური, ცერემონიალური თუ პათეტიკით აღსავსე სიტყვების წარმოთქმის დღე, ეს დღე ქვეყნისთვის, რომელსაც საქართველოსნაირი ისტორია უდგას სათავეში, ნიშნავს, რომ ჩვენ სრულიად ვიაზრებთ და ვაფასებთ საუკუნეების მანძილზე თავდაცვის ძალების უდიდეს მნიშვნელობას ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის მოპოვებაში, შენარჩუნებაში და დღეს უკვე მის გამყარებაში,** – ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა თავდაცვის ძალების 32 წლის იუბილესთან დაკავშირებით განაცხადა.

ზურაბიშვილის თქმით, **„ეს ის დღეა, როცა ვიაზრებთ, რა არის თავდაცვის ძალების დანიშნულება ქვეყანაში, მათი შეუფასებელი სამსახური ქვეყნის წინაშე და არა მხოლოდ ომის დროს, არამედ მშვიდობის ჟამს და ყოველდღიურად თუ ყოველწუთიერად“.**

**„თქვენ ქვეყნის სადარაჯოზე დგახართ. პირველ რიგში, თავდაცვა კლასიკურად ნიშნავს ჩვენი საზღვრების, ტერიტორიული მთლიანობის და სუვერენობის დაცვას. ეს არაა მარტივი მოვალეობა, ჩვენ ვიცით და გვახსოვს 1921, 1992, 1993 და 2008 წლების რუსული აგრესიის წინააღმდეგ ჩვენი ჯარისკაცების თავდადებული ბრძოლა. არ ვივიწყებთ და არ დავივიწყებთ, რამდენი მათგანი შეეწირა ამ უმაღლეს და უმნიშვნელოვანეს მიზანს, საქართველოს დამოუკიდებლობას. დღეს მათთვის პატივის მიგების დღეა, მათი ოჯახების მიმართ მადლობის გამოცხადების დღეა. ასევე განსაკუთრებული მადლიერება ეკუთვნის ჩვენს ვეტერანებს. მე, როგორც ამ ქვეყნის უმაღლესი მთავარსარდალი, გიდასტურებთ ჩემს პატივისცემას მადლიერებას და ნდობას“**, – განაცხადა ზურაბიშვილმა.

სალომე ზურაბიშვილმა გამოსვლისას უკრაინაში არსებულ მდგომარეობაზეც ისაუბრა და აღნიშნა, უკრაინის გამარჯვება განაპირობებს ხვალინდელი მსოფლიოს ბედს.

## ირაკლი ღარიბაშვილი:

# ქართული ჯარი იმსახურებს ყველაფერს საუკეთესოს!..

**ქართული ჯარი წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვის ძლიერ საყრდენს, მთავარ გარანტს. ქართული ჯარი იმსახურებს ყველაფერს საუკეთესოს, ჩვენი ვალია, მაქსიმალურად დავაფასოთ თქვენი ღვაწლი და ღირსეული სამსახური,** – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა საქართველოს თავდაცვის ძალების 32 წლის იუბილესთან დაკავშირებით, ვაზიანში, მე-4 ქვეითი ბრიგადის სამწყობრო მოედანზე, საზეიმო ღონისძიებაზე განაცხადა.

პრემიერმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ დღეს ძალიან რთული დროა მთელ მსოფლიოში.

**„რუსეთის აგრესია უკრაინაში, ომი, რომელიც არ ჩერდება, ისედაც რთულად პროგნოზირებად, ტურბულენტურ გეოპოლიტიკურ გარემოში ჩვენ, მთავრობას, ჩვენს ხელისუფლებას განსაკუთრებული გონიერება მართებს. ამავდროულად, ძალიან კარგად გვესმის, რომ კიდევ უფრო მეტად უნდა გავაძლიეროთ ჩვენი სახელმწიფოს ინსტიტუტები, და პირველ რიგში, ქართული ჯარი, როგორც ყველაზე მნიშვნელოვანი ძალა ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოებისთვის და მშვიდობისთვის. ჩვენ ვაგრძელებთ გრძელვადიანი გეგმის მიხედვით ჩვენი თავდაცვის შესაძლებლობების განვითარებას, ვაგრძელებთ თავდაცვის ძალების ტრანსფორმაციის პროცესს და მჯერა, ჩვენი ჯარი კიდევ უფრო ძლიერი გახდება.**

**დღევანდელ დღეს, მინდა, კიდევ ერთხელ მადლობა გადავუხადო ჩვენს საერთაშორისო პარტნიორებს, აშშ-ის, ნატო-ს წევრ ქვეყნებს, ყველას, ვინც ეხმარებოდა და ეხმარება ჩვენი ქართული ჯარის გაძლიერებას. კიდევ ერთხელ გილოცავთ თავდაცვის ძალების დღეს, გისურვებთ გამარჯვებას, ღმერთი იყოს თქვენი მფარველი“**, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.



# შაჰინ-ი და სამან-ტა



# არჩევნებამდე 1,5 წლით ადრე გვმარხავენ!!!

## „ხალხის ძალა“: ამერიკელები ყველაფერს გააკეთებენ, რომ 2024 წლის არჩევნების ლეგიტიმაცია არ ცნონ და საარჩევნო მარცხის მიუხედავად, ქართველ ხალხს „ნაცმოძრაობის“ აგენტოკრატია თავს მოახვიონ

**„გასული კვირის განმავლობაში, ერთმანეთის მიყოლებით გამოქვეყნდა IRI-ის გაყალბებული კვლევები და სენატორ შაჰინისა და USAID-ის ხელმძღვანელის სამანტა პაუელის აგრესიული განცხადებები. როგორც კვლევის გაყალბება, ისე ამერიკელ მაღალჩინოსანთა გამონათქვამები „მზარდი ავტოკრატიისა“ და „2024 წლის არჩევნებზე ამერიკელების კრიტიკული როლის“ შესახებ ერთადერთ რამეზე მიგვანიშნებს – ამერიკელები ყველაფერს გააკეთებენ, რომ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების ანალოგიურად, 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების ლეგიტიმაცია არ ცნონ და საარჩევნო მარცხის მიუხედავად, ქართველ ხალხს ნაცმოძრაობის აგენტოკრატია თავს მოახვიონ.**

**მაღალჩინოსნებმა ძალზე კარგად იციან, რომ საქართველოს 2012 წლის შემდეგ ყველა მიმართულებით და განსაკუთრებით, დემოკრატიის სფეროში ფუნდამენტური წინსვლა აქვს. სენატორ შაჰინს გვინდა შევახსენოთ, რომ სწორედ მისი ფავორიტი რეჟიმის დამარცხება დასჭირდა 2012 წელს ბიძინა ივანიშვილს იმისათვის, რომ საქართველოში ავტოკრატია, ადამიანის უფლებების ფეხქვეშ გათელვა, ადამიანების წამება და გაუპატიურება, ბიზნესის რეკეტი, მედიის მიტაცება, სასამართლოს და სხვა სამართალდამცავი სტრუქტურების ტოტალური პოლიტიზება და უამრავი სხვა სისტემური დანაშაული დაესრულებინა.**

**ჯინ შაჰინი ქართულ დემოკრატიაზე გულწრფელად რომ ზრუნავდეს, მას საქართველოს ხელისუფლების მიმართ რადიკალურად განსხვავებული დამოკიდებულება ექნებოდა. თუმცა, არის რაღაც, რაც მას ამ დამოკიდებულების ჩამოყალიბებაში ხელს უშლის.**

**სამწუხაროდ, ჯინ შაჰინი, სამანტა პაუელი და სხვა ამერიკელი მაღალჩინოსნები საქართველოს ხელისუფლებას საბჭოთა ცეკას სტანდარტებით განიხილავენ და აფასებენ. მათთვის მოსაწონი მხოლოდ ისეთი ხელისუფლებაა, რომელიც „უფროსი ძმის“ ყველა დავალებას თვალდახუჭული ასრულებს. როდესაც „უფროსი ძმა“ საქართველოსგან ერთადერთ რამეს, უკრაინის ბედის გაზიარებას ითხოვს და ამ დავალებას ქვეყნის ხელისუფლება ჯიუტად არ ასრულებს, ბუნებრივია, ასეთ პირობებში, მისი კეთილგანწყობის მოპოვება შეუძლებელია.**

**სენატორ შაჰინს გვინდა მოვუწოდოთ, საბჭოთა ცეკას მიდგომები გვერდზე გადადოს და საქართველო სუვერენულ სახელმწიფოდ აღიაროს. მას გვინდა შევახსენოთ, რომ 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებში კრიტიკული როლი არა ამერიკამ, არამედ ქართველმა ხალხმა უნდა შეასრულოს და ეს აუცილებლად ასეც იქნება. 2024 წლის შემდეგაც, საქართველოს ბედს არა უსამშობლო ნაციონალების აგენტოკრატია, არამედ დემოკრატიულად არჩეული და პატრიოტული ხელისუფლება წარმართავს!..**

# 29 აპრილის შუალედური არჩევნების წინასწარი შედეგები

საქართველოს პარლამენტის შუალედური არჩევნები: №21 – **ბესიკ წულეისკირი** („თავისუფალი საქართველო) 1 359 ხმა – 4,7%; №41 **გიორგი ხახუბია** („ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“) 27 553 ხმა – 95.3%.

საკრებულოების შუალედური არჩევნები წინასწარი მონაცემები:

გურჯაანი – №41 **ზურაბ მუხულიშვილი** („ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“) 1 347 ხმა; თიანეთი – №41 **იოსებ მათურელი** („ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“) 345 ხმა;

ახალციხე – №41 **როინი ნებაძე** („ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“) 463 ხმა; ტყიბული – №41 **გიორგი კერესელიძე** („ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“) 1 322 ხმა – 86.63%; №51 **გიორგი გაგოშიძე** (საინიციატივო ჯგუფი) 204 ხმა – 13.37 %.

ქუთაისი – №41 **მიხეილ გიორგაძე** („ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“) 5 396 ხმა.

რაც შეეხება მერების რიგგარეშე არჩევნებს, აქ წინასწარი შედეგები ასეთია:

ცაგერი – №41 **ლევან ზალკალიანი** („ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“) 4 825 ხმა; თერჯოლა №41 **მანუჩარ რობაქიძე** („ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“) – 11 511 ხმა“.

შემაჯამებელი ოქმები, ისევე როგორც ელექტრონული აპარატებიდან ამობეჭდილი წინასწარი შედეგების შესახებ ამონაწერი ატვირთულია ვებგვერდზე resurlts.cec.gov.ge და ყველა დაინტერესებულ პირს აქვს შესაძლებლობა, გაეცნოს მათ.

# საქართველოსა და შუა დერეფანზე მოთხოვნა უკრაინაში ომის დასრულების შემდეგაც იქნება

**საქართველოს მიზანია შუა დერეფანში გამავალი ტვირთების რაოდენობა რეგიონული ომის დასრულების შემდეგაც შეინარჩუნოს. ამის რეალური შანსი არსებობს, მაგრამ ამისათვის აუცილებელია შიდა სატრანსპორტო-ლოჯისტიკური სისტემების გამართვა. ეს მარტივი საქმე არ არის. ამიტომაც მთავრობამ და ბიზნესმაც მაქსიმალურად უნდა გამოიყენონ არსებული შესაძლებლობები.**




საქართველოს სატრანზიტო დერეფნის ფუნქციაზე საუბრობს დეველოპერული კომპანია „თეთრი კვადრატის“ და „ბიქეი ჰოლდინგის“ მმართველი პარტნიორი **ირაკლი ბურდილაძე**. ისიც ადასტურებს, რომ შუა დერეფანზე მოთხოვნა რუსეთ-უკრაინის ომის დასრულების შემდეგაც შენარჩუნდება. სატრანზიტო დერეფნის ფუნქციას არა მხოლოდ ეკონომიკისთვის აქვს მნიშვნელობა, არამედ ის ქვეყნის უსაფრთხოების და სტაბილურობის ერთ-ერთი გარანტია.

იხ. 11 გვ.

# დავით ნარინი და დავით ულუ...



## ენმ-ს ორი ლიდერი ჰყავს და ძალაუფლებისთვის დანასისხლად არიან გადაკიდებულნი

**„ნაციონალური მოძრაობა“ თითქმის დაშლის ზღვარზეა და როგორც მმართველ გუნდში ამბობენ, ის პოლიტიკური „ლპობის“ პროცესშია, ხოლო ეს სიტუაცია რაც უფრო დაჩქარდება, ქვეყნისთვის მით უფრო უკეთესი იქნება. ფაქტობრივად, ენმ ორადაა გაყოფილი. მათ ორი ლიდერი ნიკა მელია და ლევან ხაზეიშვილი ჰყავთ, რომლებიც ორ სხვადასხვა მთავარ ოფისში მომხრეებთან ერთად არიან გამაგრებულები. პარტიის დემონტაჟის პროცესი ყოველდღიური სკანდალების ფონზე მიმდინარეობს. დღე არ გავა, რომ რომელიმე ფლანგიდან ერთმანეთის წინააღმდეგ საჯარო ბრალდებები არ გაისმას. ხაზეიშვილი ყველას, ვინც დავით კეზერაშვილს არ აღმერთებს, პარტიიდან ყრის და სიებიდან შლის.**

ნაცებს ამჯერად ბათუმის ორგანიზაცია აუფეთქდა, რომლის 4-მდე წევრი ახალმა თავმჯდომარემ ე.წ. სათადარიგო სიიდან ამოშალა. ბათუმის ორგანიზაციიდან ხაზეიშვილს შემოუთვალეს, რომ ან ამ საქციელს ახსნის, ან კიდევ მისი გადაყენების პროცედურები უნდა დაიწყოს. ფაქტობრივად, მელია და ხაზეიშვილი ნაწილებად დაშლილი პარტიის ნარჩენების მიტაცებით არიან დაკავებულები. არავინ იცის, როგორ და როდემდე შეიძლება ეს დაპირისპირება გაგრძელდეს.

ბათუმში ხაზეიშვილის გუნდის წარმომადგენლები არ მალავენ, რომ ახალი თავმჯდომარე, ძველის პოლიტიკურმა აქტიურობამ გააღიზიანა. ლევან ხაზეიშვილის ფლანგი, განმარტებების ნაცვლად თავდასხმაზე გადავიდა და ნიკა მელიას თანამოაზრეები პოლიტიკურ შურისძიებაში დაადანაშაულა.

მიღებული გადაწყვეტილების შემდეგ, ნიკა მელიამ, ლევან ხაზეიშვილს, მორიგი პოლიტიკური ორთაბრძოლა გამოუცხადა. „ნაციონალური მოძრაობის“ ყოფილი თავმჯდომარე, სოციალურ ქსელში, ახალი მენეჯმენტის ჩრდილოვან მმართველობაზე საუბრობს და წერს, რომ პარტიაში მიმდინარე რეპრესიები უპასუხოდ არ დარჩება.

მელიას მომხრეების სიიდან ამორიცხვის შემდეგ, ხაზეიშვილმა კულისებში დარჩენა არჩია. საკუთარი გადაწყვეტილების ახსნა თავად არ ისურვა და პოლიტიკური პოზიციის გაჟღერება რეგიონულ მდივანს გადააბარა. **გიორგი ბოტკოველმა** პარტიის თავმჯდომარის გადაწყვეტილების გამართლება სცადა და თქვა, რომ ნიკა მელიას მხარდამჭერების თამაშგარეთ დატოვებას ლეგიტიმური საფუძველი ჰქონდა.

„ნაციონალურ მოძრაობაში“ მიმდინარე კრიზისი, უმრავლესობის აზრით, დასკვნით ეტაპზე გადადის. მმართველ გუნდში ფიქრობენ, რომ არსებული პოლიტიკური ანგარიშსწორება პარტიისთვის საბოლოო განაჩენი იქნება.

ანალიტიკოსებს კი ამ დაპირისპირების დასრულების ვერსიები აქვთ და ამბობენ, რომ ადრე თუ გვიან, მელიას პარტიის დატოვება მოუწევს, რაც ენმ-ის დაშლის და დემონტაჟის დასაწყისი იქნება.

ანალიტიკოსი **გია** ამბობს, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ ბათუმის და კასპის ორგანიზაციების გარდა, სხვა ადამიანებიც საუბრობენ იმაზე, რომ პარტიაში სრული გაუგებრობაა. ენმ-ში რღვევის პროცესია დაწყებული და აბაშიძე ამბობს, რომ თუ კეზერაშვილის, მერაბიშვილის ან ხაზეიშვილის საახლობლოდან არ არიან, მათ პარტიაში ავიწროვებენ.

**„ნაციონალურ მოძრაობაში“ ისეთ გაუგებრობაა, მგონია, რომ რღვევის პროცესი ძალიან ცუდად დაუმთავრდებათ. ენმ-ში ქონების გადანაწილება და დატაცება მიდის. თუმცა ნიკა მელია ჯერჯერობით პარტიიდან გასვლისგან თავს იკავებს. მე არ ვფიქრობ, რომ ის არ წავა, მგონია პირიქით, ამით დროის მოგებას ცდილობს და ის ენმ-ს, ადრე თუ გვიან, მაინც დატოვებს. სავარაუდოდ, ამას აკეთებს იმიტომ, რომ რაღაცა წინამოსამზადებელი პერიოდი სჭირდება, მით უმეტეს თუ ახალი პოლიტიკური პარტიის შექმნას აპირებს. ვფიქრობ, მელია მუშაობს იმისთვის, რომ პარტიის სხვა წევრებიც გადაიბიროს და ენმ-დან მას წასვლისას უკან გაყვნენ. არსებობს ასეთი ვერსიაც, რომ შესაძლოა, მელია სხვა პოლიტიკურ პარტიებს შეუერთდეს, თუმცა ამის ნიშნები ჯერჯერობით არ ჩანს. ვფიქრობ, მელია უფრო მეტ ადამიანს აგროვებს და ის ვეტერანი პოლიტიკოსების გადაბირებას ცდილობს. ვეტერანი პოლიტიკოსები მხოლოდ ფინანსური რესურსების გამო, პარტიაში დავით კეზერაშვილის დიქტატს ვერ შეეგუებიან, ან ლევან ხაზეიშვილის ნულოვან ერუდიციას, რომელიც დე ფაქტო მმართველია. პროცესები, რასაკვირველია, უფრო ფორსირებულად განვითარდება. 2024 წელს არის არჩევნები და ახალ პოლიტიკურ პარტიას მოსამზადებლად დრო და რესურსი ძალიან სჭირდება“**, – ამბობს აბაშიძე.

მისივე თქმით, ენმ-ში დაწყებული რღვევის პროცესი ძალიან კარგია, რადგან სხვა კონსტრუქციულ ოპოზიციურ პარტიებს გზა გაეხსნებათ. აბაშიძე ამბობს, რომ ასევე ვხედავთ, რომ ყოფილი ენმ-ის აქტორებისგან საჯარო მამხილებელი განცხადებები კეთდება. ეს იქნება თამარ ჩერგოლეიშვილისგან, ელისო კილაძისგან თუ სხვა პირების მხრიდან. აბაშიძე ამბობს, რომ მელიასა და კეზერაშვილის ფლანგს შორის დაპირისპირება იმდენად მწვავეა, რომ ერთმანეთის წინააღმდეგ საინფორმაციო და კომპრომატებით ომი აქვთ გამოცხადებული.

„ხალხის ძალის“ წევრი და ანალიტიკოსი **ზურაბ ქადაგიძე** კი აცხადებს, რომ ის „მენეჯერული“ თვისებები, რაც წლების განმავლობაში დავით კეზერაშვილს და ვანო მერაბიშვილს ჰქონდათ, უკვე სახეზეა მათივე პარტიაში. მათი მთავარი თვისება ძალადობაა, რასაც ენმ-ში ლევან ხაზეიშვილის დახმარებით ახორციელებენ.

**„აქ მიდის ზეწრის გადათრევის პრინციპი, როცა ძალაუფლების გულისთვის გაწევ-გამოწევაში არიან. ლევან ხაზეიშვილი, „ნაცმოძრაობის“ თავმჯდომარედ არჩევის შემდეგ პარტიის დემონტაჟს ახორციელებს. ყველა რეგიონული ოფისისთვის ლევან ხაზეიშვილის პოლიტიკური ჰაბიტუსი მიუღებელია. ამ კაცის ინტელექტუალური შესაძლებლობები ძალიან სავალალოდ გამოიყურება, ამიტომ იმისთვის, რომ ეს ხალხი დაიმორჩილოს, მათი გაყრის მეტი სხვა გზა ვერ მოიფიქრა. თავისთავად, ეს „ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტიკური დემონტაჟია.**

**ამით არაფერი დააკლდება რადიკალურ ოპოზიციას, რადგან ეს ხალხი გადანაწილდება და თავის გზას ახლა სხვა ძალაში ჰპოვებენ. სამწუხარო რეალობა დღეს ისაა, რომ ოპოზიცია არ გვყავს ისეთი, რომელსაც ხელისუფლების ჩანაცვლების პერსპექტივა ექნება. ეს არის წარმოუდგენელი რამ, როცა ხელისუფლებაში მეოთხე ვადით მმართველი ძალა შეიძლება მოვიდეს. იმიტომ კი არ მოვიდეს, რომ განსაკუთრებულია, არამედ იმიტომ, რომ ხალხისთვის ოპოზიცია უფრო მიუღებელია. იმდენად საზიზღრები არიან, ამათი დანახვაც არავის აღარ უნდა. პარტიის დემონტაჟს მელია ცოტა ხნით მაინც აჩერებდა და ახლა ხაზეიშვილმა დააჩქარა. დავით ნარინი და დავით ულუ, ენმ-ს ორი ლიდერი ჰყავს და ძალაუფლებისთვის დანასისხლად არიან გადაკიდებულები“**, – ამბობს ქადაგიძე.

**ლიკა ბერიკაშვილი**

# ქულების ჩაწერის შანსი მამაძაღლთათვის!..

**რამდენიმე თვეც და დაგვემშვიდობება ამერიკის შეერთებული შტატების მეცხრე ელჩი საქართველოში, მაგრამ რაც უფრო ახლოვდება მისი დიპლომატიური მისიის ამოწურვის ვადა, კელი დეგნანი სულ უფრო გვაოცებს პოლიტიკოსის იმიჯის შემბღალავი არაადეკვატური ნაბიჯების გადადგმის ინტენსივობით, რაც ამჯერად ტრაგიკომიკურ ეპიზოდში გამოიხატა.**

დიახ, გინდ დაიჯერეთ, გინდ არა – ამჯერად ეს გამოცდილი ქალბატონი იქამდე დაეშვა, რომ, როგორც დაინტერესებული მხარე, თბილისის ერთ-ერთ ავტოფარეხში ინვესტორსა და მობინადრეთა შორის გამართულ წმინდა წყლის საყოფაცხოვრებო ნიადაგზე აღმოცენებული კონფლიქტის გარჩევას დაესწრო. კიდევ უფრო კურიოზულად ჟღერს ხსენებული ბიზნესმენის – ვასილ ცოტაძის მიერ ამ ფაქტის გამამართლებლად გამოთქმული არგუმენტი – მეუღლე ამერიკელი მყავს, მისი მშობლები კი იქაურ დიპლომატიურ კორპუსთან მეგობრობდნენ და ამის გამოხატულებაა დღევანდელი შემთხვევაო.

დავიჯერო, სტუმარ-მასპინძელს არაფერი სმენია ნეპოტიზმის თაობაზე? გამორიცხულია, ამიტომ ის უფრო სარწმუნოდ გამოიყურება, რომ დაბალი ღობის სინდრომი ოკეანის გაღმიდან მოვლენილ ემისრებშიც ღრმადაა გამჯდარი და სახელმწიფოთაშორის სტრატეგიულ პარტნიორობას უთხრის ძირს.

ეს რომ არ განმეორდეს, ახალი უფროსი ძმის მომავალ წარმოგზავნილებს შევახსენებ: პირადად მე ყოფილი ცენტრიდან მოვლენილ ცეკას სამ მეორე მდივანს – ჩურკინს, კოლბინსა და ნიკოლსკის მოვესწარი, ხოლო რითი დასრულდა მათი სამეფისნაცვლო მოღვაწეობა და დედამიწის მეექვსედზე გადაჭიმული უზარმაზარი იმპერიის არსებობა, ვფიქრობ, არ ესწავლებათ. ასე რომ, გაითვალისწინონ უახლოესი წარსულის მწარე გაკვეთილი.

სხვათა შორის, ამავე ჭრილში შეგვიძლია განვიხილოთ სენატორ ჯინ შაჰინის აწეული ტონი საქართველოს ხელისუფლების შეფასებისას და ნაციონალური კოშმარისადმი მკვეთრად გამოხატული თანადგომა, რაც სავსებით ლოგიკურად გადაიზარდა ყოველივე ეროვნულისადმი მტრულად განწყობილი ოპოზიციისადმი დათვურ სამსახურში.

საუბარია ასეთი მფარველობით გათამამებულ საპარლამენტო უმცირესობაზე, რომელმაც ხანგრძლივი სარფიანი შატალოს შემდეგ, რა დროსაც უტიფრად სარგებლობდა ყველა სადეპუტატო პრივილეგიით, დასავლეთიდან შემოგდებული საბაბი დაიხვია ხელზე, სანქცირებულ მოსამართლეთა დამსჯელთა დაკრულზე დაიწყო ცეკვა და ყბადაღებული სასამართლო კლანის ბოლომდე გასაშიშვლებლად საგამოძიებო კომისიის შესაქმნელად ტოტალური მობილიზაცია გამოაცხადა.

ვინაიდან ახალი სასესიო კვირა დაიწყო, ვიმედოვნებთ, სამჯერ ჩაგდებული ინიციატივის შემდეგ ცირკი და სანახაობა არც ამჯერად მოგვაკლდება, მაგრამ, როგორც არ უნდა განვითარდეს მოვლენები, ქართული ოცნების უმრავლესობას სამადლობელი მაინც ეკუთვნის, რადგან ტელევარსკვლავებად ქცეულ უსაქმურ კოლეგებს უშუალო მოვალეობები შეახსენა და კვორუმის შესაქმნელად სამსახურში სიარული აიძულა. სწორედ ამას ითხოვს ამომრჩეველი.

არის კიდევ ერთი საკითხი, რომელიც რადიკალთა გულყრას იწვევს. ესაა პრემიერ ღარიბაშვილის მოახლოებული ვიზიტი უნგრეთში, სადაც 4-5 მაისს მონაწილეობას მიიღებს პრესტიჟულ საერთაშორისო კონფერენციაში, მას კი ბუდაპეშტი ზედიზედ მეორედ მასპინძლობს.

თურმე, სამარცხვინო ყოფილა რუსეთის მოკავშირე სახელმწიფოსთან მეგობრობა მაშინ, როცა იგი ნატოსა და ევროკავშირის წევრია და ვიქტორ ორბანთან დაძმობილება, რომელიც პუტინისტი ყოფილა!!! კი მაგრამ, რა ვუყოთ კორუფციის ჭაობში ჩამხრჩვალ ოლიგარქების საპარპაშოდ შენარჩუნებულ მოლდოვას, სადაც კომუნისტები დღესაც გავლენით სარგებლობენ და ცოცხალი თავით ვერ ელევიან დსთ-ს, ჩვენ კი ბინძური კონიუნქტურის მაგიით დაგვასწრეს კანდიდატის სტატუსის მიღება?! აღარაფერს ვამბობთ სისხლისგან დაცლილ უკრაინაზე, აგრეთვე იმ ფაქტზე, რომ ზემოთნახსენებ კონფერენციაში რეიგანს, უმცროს ბუშსა და ტრამპს აქვთ მონაწილეობა მიღებული.




**და ბოლოს: ისე როგორ იქნებოდა, ეს ჩვენი ბედოვლათი მოყაყანეები ათაშანგივით არ აჰკიდებოდნენ აქონდროპლაზიით დაავადებული შვილებისთვის აუცილებელი მედიკამენტის შეძენის დაჩქარების მოთხოვნით ქუჩაში გამოსულ დედათა პროტესტს და განულებულ რეიტინგში ნამამაძაღლარი ქულების ჩასაწერი შანსი არ გამოეყენებინათ.**

**გამოიყენეს კი? – მსგავსი იაფფასიანი ტრიუკებით ხომ თითქმის აღარავინ ბოლდება?!**

**გია პლატონიშვილი**

# შაბათის გლახა შავნოდარა, ჯაჯო და სხვანი...

**ფიზიკურად, მორალურად და ფსიქიკურად ჯანსაღი თაობის აღზრდაში, მისი ინტელექტის ფორმირებასა და ეროვნული ნიშან-თვისებების მატარებელ პიროვნებად ჩამოყალიბებაში ოჯახსა და სკოლასთან ერთად უდიდესი როლი აკისრია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, უპირველეს ყოვლისა, ტელევიზიას.**



უმოკლესი დროის განმავლობაში ეკონომიკური და სოციალური სისტემებისა და დამკვიდრებული შეხედულებების რადიკალური შეცვლა, დასავლეთის მაღალგანვითარებულ ქვეყნებთან ინტეგრაცია, პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობების ფართოდ განვითარება უდიდეს სიკეთესთან ერთად ნოყიერ ნიადაგს ქმნის თვითმყოფადი ეროვნული კულტურის შევიწროების ხარჯზე ფსევდოკულტურების ადვილად გავრცელებისთვის, რაც, ძირითადად, ინფორმაციის მასობრივი საშუალებებისა და, უპირველეს ყოვლისა, ტელევიზიის საშუალებით ხორციელდება. ახალგაზრდობისა და საერთოდ მოსახლეობის გარკვეული ნაწილი ექცევა ჭეშმარიტი ხელოვნებისაგან დაცლილი, მასობრივი, კონტეინერული კულტურის გავლენის ქვეშ. ეს პირველ რიგში ითქმის ახალგაზრდობაზე, რომლის შეგნებაში მეტასტაზებივით აღწევს ეს კულტურა, მთლიანად იპყრობს მის ცნობიერებას და განსაზღვრავს ქმედების ხასიათს, იწვევს ადამიანურ ურთიერთობათა დეფორმირებას, ზნეობრივი კრიტერიუმების გადაფასებას. გარკვეულწილად ამის გამოხატულებაა ის მკვლელობები, ნარკომანია და მასობრივი კულტურის სხვა ატრიბუტები, რაც აგერ უკვე 30 წელზე მეტია, ასე ხშირია ჩვენს ქვეყანაში. ყველაფერი ეს დამღუპველ გავლენას ახდენს ერის ხასიათზე, ნიშან-თვისებებზე, ერის გენოფონდზე და, რაც მთავარია, ერის გამრავლებაზე.

ცალკეული სატელევიზიო არხები ხშირად ხელიდან შემთხვევას არ უშვებენ სკანდალური ფაქტების, კლინიკური გიჟების ქმედებების, ცხოვრების უარყოფითი მოვლენების გაშუქებით უკიდურესად დაძაბონ ურთიერთობა საზოგადოებაში. ისინი ეძებენ სენსაციებს და აშკარად იგრძნობა მათი აღფრთოვანება ნეგატიური მოვლენების გადმოცემისას. ამიტომ, არც ისე იშვიათად, ფაქტებსა და მოვლენებს ტენდენციურად განიხილავენ და მათ დაუფარავი ცინიზმით, უკბილო კომენტარებით წარმოაჩენენ. ასეთი მიწოდებით ეკონომიკური სიდუხჭირითა და სოციალური სტრესების შედეგად ფსიქიკურად ურთულეს მდგომარეობაში მყოფ ხალხში მასობრივი ნიჰილიზმი და უიმედობა ისადგურებს, რაც მეტად უარყოფითად მოქმედებს ქვეყნის დემოგრაფიულ განვითარებაზე.

დღეს ჩვენი ტელეარხები ხშირად მხატვრულ და შემეცნებით ღირებულებას მოკლებულ ფილმებს უთმობენ თავიანთი გადაცემების ძირითად დროს. ამ ფილმებში წინა პლანზეა წამოწეული აღვირახსნილი და გაუკუღმართებული სექსი, მკვლელობები, ღალატი, ძალადობა, გაუტანლობა და სხვა საშინელებები. თითქმის ყველა



ფილმი გადაღებულია უმარტივეს სიუჟეტზე და ისინი ტყუპისცალივით გვანან ერთმანეთს. ასეთმა ფილმებმა შეიძლება ახალგაზრდობა მიიყვანოს სიცარიელემდე, პრიმიტიულ აზროვნებამდე, იმ მდგომარეობამდე, როდესაც მას აღარ აინტერესებს ეროვნული ღირებულებები, ოჯახი, სამეგობრო-სანათესაო და ხდება რაღაც გაურკვეველი სულიერების მატარებელი, ზნეობრივად გაღარიბებულ სამყაროში მცხოვრები, ყოველგვარი ადამიანური ფასეულობებისგან დაცლილი კოსმოპოლიტი პიროვნება. რა თქმა უნდა, ყველაფერ ამას მხოლოდ მხატვრული ფილმების ჩვენებას ვერ დავაბრალებთ, სამწუხაროდ, სხვა დაბალი ხარისხის გადაცემებიც იგივე როლს ასრულებენ ახალგაზრდობის მორალური აღზრდის თვალსაზრისით.

ჩვენს მრავალსაუკუნოვან ლიტერატურულ და ისტორიულ ძეგლებში, ზეპირსიტყვიერებაში მთავარი ყურადღება ეთმობა ახალგაზრდობის ეროვნული სულისკვეთებით აღზრდის, მათი გამრავლების პრობლემებს, ხოლო წმინდა წიგნად მიჩნეულ „ქართლის ცხოვრებას“, რომელიც შეიცავს ქართველთა ცხოვრების მიმოხილვას, ახალგაზრდობა მაღალი მორალის მცნებებზე უნდა აღეზარდა!.. (**ს. ყაუხჩიშვილი**).

ორიგინალურად იწყება მე-18 საუკუნის პირველი ნახევრის გამოჩენილი მოღვაწის ვახუშტი ბაგრატიონის ფუნდამენტური ნაშრომი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“: „ყოველი ჟამი იგი წარწყმდეს, რომელიცა სწავლასა ზედა არა სახმარ ვყოთ“. სახელოვანი წინაპარი მოუწოდებს ახალგაზრდობას, გამოიყენონ დრო ცოდნის შესაძენად, რადგან „არა ჯერ არს, რათა უქმ ვჰყოთ ჟამი და განუტევოთ ჩვენგან და დავრჩეთ ურგებნი მის მიერ“.

> **ყოველი ჟამი იგი წარწყმდეს, რომელიცა სწავლასა ზედა არა სახმარ ვყოთ!..**
> **ვახუშტი ბაგრატიონი**

ჩვენს ცხოვრებაში, უდიდესი პოლიტიკური, ეკონომიკური და, საერთოდ, საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში მომხდარი ძვრების შედეგად, უამრავი გადასაწყვეტი პრობლემა დაგროვდა ახალგაზრდობის წინაშე. ბევრმა დემოკრატია გაიგო როგორც პიროვნების აბსოლუტური თავისუფლება, როდესაც რასაც გინდა, იმას აკეთებ, როგორც გინდა, ისე იცვამ, მღერი, წერ, ატარებ თავისუფალ დროს, ეწევი სქესობრივ ცხოვრებას, მოკლედ ისე იქცევი, როგორც დღეს უკვე პარლამენტარი იაგო ხვიჩია ამბობდა: ჩემი სხეული ჩემი საკუთრებაა და მას როგორც მინდა, ისე მოვიხმარ. მაგრამ თავისუფლება ყველაფრის უფლებას არ ნიშნავს და მას თავისი უფლებები და მოვალეობები გააჩნია. ასე რომ, ადამიანები სრულიად თავისუფლები და დამოუკიდებლები ვერასოდეს იქნებიან თავიანთ ქცევებში, რადგან ეს იქნებოდა სრული ქაოსი. აკი დიდი ვაჟა-ფშაველაც აღნიშნავდა: „თავისუფლება იმას არ გვიქადაგებს, რომ ყოველი ჩვენი სურვილი, გრძნობა, ყოველი ჩვენი ვნება დავაკმაყოფილოთ წინდაუხედავად“.

## სტუდენტების თვალით დანახული სატელევიზიო გადაცემები

ახალგაზრდობის პრობლემების შესწავლის მიზნით სამჯერ – 2003, 2013 და 2023 წლებში ჩავატარეთ ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტებთან სოციოლოგიური კვლევა. 2003 წელს გამოიკითხა 308 სტუდენტი (118 ვაჟი და 190 ქალი); 2013 წელს – 326 სტუდენტი (98 ვაჟი და 228 ქალი) და 2023 წელს – 208 სტუდენტი (77 ვაჟი და 131 ქალი). ჩვენთვის სრულიად მოულოდნელი პასუხები მივიღეთ. კერძოდ, 2003 და 2013 წლებში ყველა სტუდენტი უყურებდა ამა თუ იმ სატელევიზიო გადაცემას, ხოლო 2023 წელს გამოკითხულ სტუდენტთა თითქმის ნახევარი – 47 პროცენტი საერთოდ არ უყურებდა ტელევიზიას! მხოლოდ ნახევარ საათს უყურებდა ვაჟების 22 და ქალების 18 პროცენტი. გამოკითხულ სტუდენტთა დიდი უმრავლესობა 2003 და 2013 წლებში უამრავ დროს ხარჯავდა ტელეგადაცემათა ნახვაზე. მაგალითად, 2003 წელს გამოკითხული ვაჟების 78 და ქალების 72 პროცენტი სამ საათსა და მეტ დროს ხარჯავდა ტელეგადაცემათა ნახვაზე, ხოლო 2013 წელს – შესაბამისად, 36 და 35 პროცენტი.

მიღებული მონაცემების შემდეგ საჭიროდ მივიჩნიეთ, ჩაგვეტარებინა სპეციალური სოციოლოგიური გამოკვლევა სტუდენტების დამოკიდებულების შესახებ ცალკეული წამყვანი ტელევიზიების გადაცემაზე, გაგვეგო მათი რეიტინგი. ამასთან, სტუდენტები რა შინაარსის გადაცემებს ანიჭებენ უპირატესობას – პოლიტიკურს, ეკონომიკურს, სოციალურს, შემეცნებითს, საესტრადოს, გასართობ ე.წ. ყვითელ შოუებს; როგორ აფასებენ ისინი ტელევიზიების გადაცემის ხარისხს, წამყვანების კომპეტენტურობას, რატომ არ უყურებენ იმ ტელევიზიების გადაცემებს, რომელზეც თქვეს, რომ „არ ვუყურებთ“ ან „იშვიათად ვუყურებთ“, შეეფასებინათ გასართობი შოუები, მისაღებია თუ არა მათთვის უხამსი გამონათქვამები, რომლებიც ისმის ტელევიზორის ეკრანიდან, მოსწონდათ თუ არა ის გადაცემები, რომლებშიც მონაწილეობენ სქესობრივი უმცირესობების წარმომადგენლები და საკმარისია თუ არა სატელევიზიო ეთერში გადაცემები ქვეყნის პრობლემურ საჭირბოროტო საკითხებზე, როგორიცაა სულიერება, რელიგია, დემოგრაფია, ისტორია, ხელოვნება, კულტურა. სტუდენტებს ვთხოვდით აგრეთვე, შეეფასებინათ სერიალების განუწყვეტელი ჩვენება სატელევიზიო ეთერში.

სულ გამოიკითხა 107 სტუდენტი. მათ გამოთქვეს მნიშვნელოვანი კრიტიკული წინადადებები, რომელთა გათვალისწინება საგრძნობლად გააუმჯობესებს სატელევიზიო არხების მუშაობას. მათი აზრით, გვხვდება ერთფეროვანი და მხოლოდ ფინანსურ მოგებაზე და თანაც რეიტინგის ამაღლებაზე გათვლილი გადაცემები. წამყვანი ტელევიზიების, კერძოდ, საზოგადოებრივი მაუწყებლის, „იმედის“, „მთავარი არხის“, „რუსთავი-2“-ის რეიტინგები ერთმანეთისგან ძირითადად არ განსხვავდება. ამ გამოკვლევითაც სტუდენტთა თითქმის ნახევარი არ უყურებს აღნიშნული ტელევიზიების გადაცემებს, ხოლო დანარჩენი ტელევიზიების არხებს – ბევრად მეტი.

სტუდენტმა ახალგაზრდობამ საერთოდ უარი უთხრა ტელევიზიას და არა იმის გამო, რომ ინტერნეტს მასობრივად მოიხმარენ, არამედ არ მოსწონთ სატელევიზიო გადაცემები, მათი ხარისხი, ჟურნალისტების ინტელექტი, ძალიან დიდი დრო მიაქვს სატელევიზიო ჭრას რეკლამაზე. ერთ-ერთმა სტუდენტმა პირდაპირ აღნიშნა:

**„პირადად თითქმის არც ერთ ტელევიზიას და მათ გადაცემებს არ ვუყურებ. ვფიქრობ, ასეა ჩემი თაობის 80 პროცენტზე მეტი. მიზეზი შემდეგია – ყველა გადაცემაში ერთი და იგივე უინტერესო სახეებია, რომლებიც ძალიან დაბალი ინტელექტით გამოირჩევიან. ამიტომ მსგავსი გადაცემების ყურებას მირჩევნია ფილმებს ვუყურო ინტერნეტის საშუალებით. რაც შეეხება გასართობ შოუებს, ისინი ყველაფერია, გასართობის გარდა, მდარე იუმორით დაწყებული. ერთადერთი გადაცემა, რომლის სიუჟეტებსაც ვუყურებ, არის „შემდეგი გაჩერება“ და კიდევ „გორგილაძის აუტანელი სიმსუბუქე“.**

ახალგაზრდები თითქმის ერთხმად აღნიშნავენ, რომ ბოლო უნდა მოეღოს სატელევიზიო გადაცემებში ბილწსიტყვაობას, ძნელია, მათ მოთხოვნას არ დაეთანხმო. მაგალითად, თუ კარგი მომღერალი ხარ, მით უმეტეს არ შეგშვენის უხამსი სიტყვე-



ბის ხმარება. ამ სამი წლის წინათ, 2 იანვარს, ბედობა დღეს, ანრი ჯოხაძემ და კიდევ ერთმა შესანიშნავმა ქალბატონმა, როგორც სულხან-საბა ორბელიანი იტყოდა, „არსად სახმარი“ სიტყვების კორიანტელი დააყენეს. ანრი არც ახლა ამბობს უარს ბილწსიტყვაობაზე.

სტუდენტები მეტად უარყოფითად აფასებენ ისეთ გადაცემებს, რომელშიც ბილწსიტყვაობა, როგორც იტყვიან, ყოველ ფეხის ნაბიჯზე გვხვდება. ამ მხრივ, მათთვის განსაკუთრებით მიუღებელია „რუსთავი-2“-ის გადაცემა „პრაიმ ჰაუსი“, რომელიც ბილწსიტყვაობის გარეშეც დაბალი დონის გადაცემაა. გაუგებარია, ამ გადაცემით რის თქმას აპირებს ტელევიზია მაყურებლისთვის. სტუდენტთა შეფასებებიც ანალოგიურია: „პრაიმ ჰაუსი“ არის ამაზრზენი“ – აცხადებს ერთ-ერთი სტუდენტი. მეორე სტუდენტის აზრით, „უხამსი სიტყვები „პრაიმ ჰაუსში“ ნამდვილად გამაღიზიანებელია. საერთოდ არ აინტერესებთ, რომ ამ გადაცემას ბავშვებიც უყურებენ, სამაგიეროდ, ისინი მხოლოდ რეიტინგით იწონებენ თავს“. სხვა სტუდენტი კიდევ აღნიშნავს: „არ ვემხრობი ბილწსიტყვაობას. არ მომწონს „პრაიმ ჰაუსი“, სადაც რეიტინგისთვის უკულტურო, უხამსი ქცევები გვხვდება. რეიტინგი არ ნიშნავს ყველაფერზე წახვიდე“. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტებისათვის კი „პრაიმ ჰაუსი“ კატასტროფაა, რაც ზნეობის დაცემასა და მომავალი თაობის განადგურებას იწვევს“. ერთი გამოკითხული ახალგაზრდის აზრითაც, „პრაიმ ჰაუსი“ „უზნეობისა და სიტუტუცის გადაცემაა, რომელიც ახალგაზრდობის გარყვნას ემსახურება“. ასეთივე აზრისაა კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტებიც. საერთოდ საზოგადოებაში ამ გადაცემის მიმართ მეტად უარყოფითი დამოკიდებულებაა, და თუ „პრაიმ ჰაუსით“ ცდილობს „რუსთავი-2“ რეიტინგის აწევას, ეგ ვერაფერი გამოსავალია.

ზოგჯერ ასეთ გადაცემებსაც ჰყავს მაყურებელი, მაგრამ მერწმუნეთ, მხოლოდ იმ მიზნით, გაიგონ რა დონემდე მივა ეს სისულელეები. ისიც საკითხავია, რა დაგიშავათ ამ გადაცემაში მონაწილე ახალგაზრდებმა? ეკონომიკურ სიდუხჭირეს რა ვუთხრათ, თორემ, ალბათ, არავინ დაგთანხმდებოდათ ამ გადაცემაში მონაწილეობაზე.

როგორც გამოკითხვამ გვიჩვენა, სტუდენტებს განსაკუთრებით აღიზიანებთ უცხოური და უპირატესად თურქული სერიალების გამუდმებული ჩვენება, რაც ჩვენი ხალხის გამოთაყვანებას უწყობს ხელს. ალბათ მსოფლიოში, საქართველოს გარდა, არც ერთი ქვეყანა არ არსებობს, რომელთა ტელევიზიები უცხო ქვეყნების ტელესერიალებს ასეთი სიხშირით აჩვენებდნენ. მაგალითად, ტელევიზია „იმედი“ დილიდან გვიან საღამომდე ყოველდღიურად ცხრა თურქულ სერიალს უჩვენებს. თავისი ქვეყნის ბედზე მოფიქრალი ერთ-ერთი სტუდენტი აღნიშნავს: „ქართული კინემატოგრაფია ჩრდილქვეშაა და წარმოჩენილია სხვა ქვეყნების ფილმები და სერიალები. ამით აჩვევენ ხალხს უცხო კულტურას, ქართველის გადაჯიშებას უწყობენ ხელს. აუცილებელია ჯეროვანი ყურადღება მიექცეს ტელევიზიის დამღუპველ როლს საზოგადოებაში“. სხვა სტუდენტებიც ანალოგიურ მოსაზრებას გამოთქვამენ: „დღეს ყველა არხზე გადის თითქმის მხოლოდ თურქული სერიალები, რის გავლენის ქვეშაც ექცევა ჩვენი საზოგადოება და საერთოდ დაავიწყდათ ლეგენდარული ქართველი რეჟისორების მიერ შექმნილი ფილმები. პირველ რიგში უნდა დავაფასოთ საკუთარი, ხოლო დანარჩენი შემდეგ“; „რა თქმა უნდა, არ ვეთანხმები იმას, რომ ერთის მიყოლებით იწყება თურქული სერიალები. ეს, ერთი სიტყვით რომ ვთქვათ, დროის ტყუილი ფლანგვაა. კარგი იქნება, თუ თურქული სერიალების მაგივრად შემეცნებითი და საინტერესო გადაცემები გავა“; „თურქული სერიალები მასობრივად დღის საათებში გადის და ძველი ქართული ფილმები ღამით, ძილის ჟამს იწყება. ეს კიდევ უარესი კატასტროფაა. ქართული ფილმები იშვიათად თუ გაახსენდებათ, ისიც დღესასწაულებზე“...

სტუდენტების მიერ გამოთქმულ მოსაზრებებსაც თუ გავითვალისწინებთ, ზოგჯერ ჩვენ თვითონ ვებრძვით ნებით თუ უნებლიეთ ქართულ ეროვნულ ცნობიერებას. პირადად ჩემთვის სრულად გაუგებარია, ჩვენი ცნობილი ადამიანები, კულტუტისა და ხელოვნების მოღვაწენი, აგერ თითქმის ორი ათეული წელია, დამუნჯებულები უყურებენ დილიდან გვიან ღამემდე თურქულ სერიალებს და რატომ არავითარ პროტესტს არ გამოხატავენ. საზოგადოებისთვის საინტერესოა, რას ფიქრობენ ამ საკითხზე ჩვენი დიდი რეჟისორი ელდარ შენგელაია ან ბატონი მერაბ კოკოჩაშვილი. როდესაც მოზარდი სულ თურქულ მუსიკას ისმენს, თურქულ ეროვნულ ცეკვას უყურებს, თურქული ცხოვრების წესს ისისხლხორცებს, მის ეროვნულ მენტალიტეტზე არ შეიძლება გავლენა არ



მოახდინოს. ტყუილად როდი აღნიშნა ერთ-ერთმა სტუდენტმა: „თურქული ფილმების ჩვენება გამოიწვევს ერის დეგრადაციას, მის გადაგვარებას“. აღარაფერს ვიტყვი თურქული ფილმების ხარისხის შესახებ, რადგან საგაზეთო ფორმატი ყველაფერს ვერ დაიტევს. იმას კი მაინც აღვნიშნავ, რომ ჩვენი პატარა ქვეყნის ფილმებმა მსოფლიო აალაპარაკა და საყოველთაო აღიარება მოიპოვა და ტელევიზიის მესვეურები მტრად არ უნდა მოეკიდონ, როგორც ნიკოლოზ ბარათაშვილი იტყოდა, თავის ისედაც „დარღვეულ მამულს“.

სტუდენტები სწორად მსჯელობენ იმის შესახებ, რომ გადაცემებში „არ არის სტუმრების მრავალფეროვნება, რაც უინტერესოს ხდის გადაცემებს“; „ძალიან ბევრი ყვითელი შოუებია, სადაც ერთი და იგივე სახეები მონაწილეობენ, რომლებიც გამუდმებით მათ პირად ცხოვრებაზე მოგვითხრობენ, რაც მომაბეზრებელია“. როგორც ამბობენ, სტუდენტებმა პირდაპირ ნიშანში მოარტყეს. მაგალითად, „იმედის“ არხზე შექმნილი გადაცემები „ჩვენი ოჯახი“, „ჩვენთან ერთად“, „ჩვენი შოუ“, აგრეთვე „პრაიმ შოუ“, „სხვა რაკურსი“, რომლის მონაწილეები გამუდმებით ერთმანეთს სტუმრობენ და აქ-




ვთ ერთი გულიანი სიცილ-ხითხითი, ყვებიან არა მარტო თავიანთ, არამედ ახლო ნათესავების პირად ცხოვრებაზე. ჯაჯანიძე და ხაზარაძე კიდევ ყოველ გადაცემაში იმეორებენ, რომ სამოცი და ორმოცდაათი წლისანი, მაგრები მაგრები არიან. მაყურებელმა უკვე ისიც იცის, რომ ჯაჯანიძე ყოველი გამოსვლის დროს ტანსაცმელს იცვლის (რასაც პროვინციულობის ბეჭედი აზის) და სხვადასხვა მაგიური „ქვების“ დიდი მოყვარულია, მაგრამ „მაგიური“ ქვები რომ არ არსებობს, ამის ცოდნაზე მწყრალად არის, რაც უძველესი დროიდან არის ცნობილი: ძველი ბერძენი ფილოსოფოსი სოკრატე შეშლილებს უწოდებდა მათ, ვინც „სრულიადაც არ თვლიდნენ სამარცხვინოდ საჯაროდ ეთქვათ ის, რაც მოესურვებოდათ, ვინც ტაძარს, საკურთხეველს საღვთო სალოცავს არ ეკიდებოდა პატივით, ვინც თაყვანს სცემს ქვებს, რაგინდრა ხესა და ცხოველს“ (ქსენოფონტი. მოგონებები სოკრატეზე, სოკრატეს აპოლოგია, თბილისი, 1973, გვ. 23). „პრაიმ შოუს“ გადაცემის წამყვანებისთვისაც, რომლებიც, როგორც ვიცი, არც ერთი ჟურნალისტი არ არის, პირადი ნაცნობობა მთავარია, ამასთან თავს დებენ ყველაფრის ცოდნაზე. დღეს ქვეყნის უმთავრესი პრობლემაა დემოგრაფიული ვითარება და როგორც მთლიანად „იმედის“ არხმა, ისე პრაიმშოუელებმა ეს მთავარი პრობლემა დაივიწყეს. მხოლოდ ნაადრევ ქორწინებაზე გააკეთეს გადაცემები და არც ერთი ამ პრობლემის მცოდნე პირი არ მოუწვევიათ! ერთმა მოწვეულმა ახალგაზრდა ქალმა, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაციიდან იყო და მეტად აგრესიულად იქცეოდა, ისიც კი განაცხადა: ვინც არასრულწლოვან ქალიშვილთან იცხოვრებს, ყველა ციხეში უნდა გავისტუმროთო, იმის მიუხედავადაც კი, დაქორწინდა თუ არაო, მაგრამ პასუხის გამცემი არავინ ჰყავდა. ამ დროს, ოფიციალური მონაცემებით, 2005-2018 წლებში 16 წლამდე გოგონებმა 5685 ბავშვი დაბადეს, ხოლო 18 წლამდე გოგონებმა (12-17 წლისანებმა) 20696. ეს იმასაც ნიშნავს, რომ ამ ასაკის სულ მცირე სამჯერ მეტ გოგონას მაინც ჰქონდა სქესობრივი კავშირი. რა ვქნათ ახლა – გადავავსოთ ციხეები ახალგაზრდა ვაჟებით?

* * *

**ცხოვრება ისეა მოწყობილი, რომ ზოგჯერ მტყუანსა და მართალს ვერ გაარჩევს კაცი. ძაღლების ცემაზე და, მით უმეტეს, ძაღლების ჩხუბის მომწყობებზე, როგორც ვიცი, პატიმრობას უსჯიან რამდენიმე წლით. ამ დროს მთელ მსოფლიოში დაშვებულია ბრძოლა წესების გარეშე, როდესაც ერთმანეთს დაუნდობლად სცემენ და ზოგჯერ რინგზეც დაუსრულებიათ სიცოცხლე.**

**სტუდენტების აზრით, „მედიის ფუნქციებს მეტ-ნაკლებად მხოლოდ საზოგადოებრივი მაუწყებელი ასრულებს“; „ზოგადად ტელევიზორს არ ვუყურებ, მაგრამ რასაც ვუყურებ, უპირატესობას ვანიჭებ პირველ არხს“.**

საინტერესოა სტუდენტების მოსაზრებები იმის შესახებ, რომ „დღევანდელი ჟურნალისტები საერთოდ არ გამოირჩევიან კომპეტენტურობით“; „უპირატესობას ვანიჭებ შემეცნებითი ხასიათის გადაცემებს, რაც ძალზე იშვიათია“; „შემეცნებით გადაცემებს უფრო მეტი დრო უნდა დაეთმოს“; „ჟურნალისტებს აშკარად არ აქვთ ნასწავლი და გააზრებული ჟურნალისტური სტანდარტები და ეთიკური ნორმები“; „სიცრუის დეტექტორი“ ადამიანს უკარგავს პირად სივრცეს და მათი ცხოვრების გამომზეურება სწორად არ მიგვაჩნია“...

სტუდენტების აზრით, როგორც აღვნიშნეთ, ჟურნალისტების უმეტესობა არის მიკერძოებული, მათთვის უცხოა ჟურნალისტური სტანდარტები და ეთიკური ნორმები. მრავალთა შორის, ამის ნათელი დადასტურებაა შავ დღეზე გაჩენილი „ჟურნალისტი“ ნოდარ მელაძე, რომელიც ყოველ შაბათს „ტვ პირველის“ ეთერიდან სიცრუის კორიანტელს აყენებს. ქართული ხატოვანი თქმისა არ იყოს, ეს შაბათის გლახა ჯიბესთან უმზრახად არასოდეს ყოფილა, მაგრამ როდესაც მისი საყვარელი სატელევიზიო არხი – ნიკა გვარამიას „ჯოჯოხეთი“ იშკილებიდან ჩამოვარდა და თანაც იგრძნო, რომ ჯორკიდებული კარზე მიადგა, სწრაფად გადაბარგდა „ტვ პირველში“. ისიც სათქმელია, ამ კაცს ამდენი ლენცოფა რამ შეაჭამა. თუმცა, ეს ხელს არ უშლის ძაღლის ყბის გამობმასა და ენის ტრიალ-ტლიკინში.

ერთ შაბათსაც ამ ჩვენმა შავნოდარამ, რომელსაც აღარ მობეზრდა წყლის ნაყვა, გვაუწყა: ბიძინა ივანიშვილმა თავის სოფელში წინასწარ შეიძინა 2500 კვადრატული მეტრი მიწის ფართობი (რასაც ნოდარა დანაშაულად მიიჩნევდა) და გადაწყვიტა ხოხბებისა და კაკბების მოშენება, რათა მათი ხორცი სარფიანად გაყიდოსო. ტექნიკური საშუალებები უკვე ჩამოიტანა და 45 მეტრის სიმაღლეზე აპირებს მავთულის ბადეებით ტყის ფართობის გადახურვასო, თან ტელევიზიით აჩვენებდნენ სამუშაოების მიმდინარეობას. იგი გამიზნულად ასახელებდა, რომ შესყიდული მიწის ფართობი საკმაოდ ბევრი იყო – 2500 კვადრატული მეტრი, რათა უფრო მეტი ეფექტი მოეხდინა მაყურებელზე, თუმცა 2500 კვადრატული მეტრი მიწა არც ისე ბევრია – 60 მეტრი სიგრძისა და 40 მეტრი სიგანის არის. მაგრამ მთავარი ისაა, რომ ბიძინა ივანიშვილმა გადაწყვიტა ეს ეგზოტიკური ფრინველები იმერეთის ტყეებში მოემრავლებინა. ისტორიული წყაროებით ცნობილია, რომ ჩვენს წელთაღრიცხვამდე კოლხეთიდან ექსპორტის ერთ-ერთ მთავარ საგანს ხოხობი შეადგენდა. ამ ფრინველზე ისეთი დიდი მოთხოვნილება იყო, რომ მის მოსაპოვებლად, ბერძნების თქმით, არც შიშს ერიდებოდნენ და არც დიდი ფასის გაღებას. ამის გამო ეს ფრინველი ფაზისის მიდამოებში გაწყვეტილა. ძველი წყაროებით ისიც ცნობილია, რომ დიდი ლხინის დროს ბერძნებს მაგიდაზე მიჰქონდათ შემწვარი ხოხობი.

**რამდენიმე თვეში 200 თუ ბევრად მეტი ხოხობი და კაკაბი დააფრთიანეს და ახლახან იმერეთის ტყეში გაუშვეს, რაც ტელევიზიის საშუალებით მთელმა მოსახლეობამ ნახა. ეს ბიძინა ივანიშვილის კიდევ ერთი, დიდი ეროვნული მნიშვნელობის ქველმოქმედებაა. შაბათის გლახამ ბოდიშის მოხდაც ვერ მოახერხა. მას, მართლაც, არაფერი ეშველება, ეშმაკს ვერ შეაფურთხებს, რადგან „ტვ პირველში“ ხალიჩის კოცნით გაბედნიერებულს სირცხვილის ფარდაგი ახდილი აქვს. ჯვარი აქაურობას!**

**დასასრულ ხაზგასმით გავიმეოროთ, რომ ტელევიზია, ეს იქნება საზოგადო მაუწყებელი თუ კერძო, ეროვნულ ინტერესებს უნდა ემსახურებოდეს.**

**ტელევიზია კულტურის სფეროს შენაძენია და არა სიტყვითმკვლელი პანდორას ყუთი!**



**ანზორ თოთაძე,**
პროფესორი,
დემოგრაფი.



ილია ფალიანი

# ფალიანები – სვანეთის ისტორიის მემატიანენი

**კავკასიონის ქედზე არსებულ ღვთაებათა იერარქიაში ფუსდ-უფალი-მამა ღმერთის, მამაზეციერის შემდგომ ჯგრააგი გვხვდება. იგი ფუსდთან ერთად სვანურ ტრადიციულ ყოფაში წარმართული ღვთაებაა. ამიტომ მისი გამოსახულება ქრისტიანული კულტურის მატარებელ წმინდანთა სიმრავლეში სხვადსხვა კომპოზიციით არის წარმოდგენილი.**

ფუსდ-უფლის სახელზე აგებული ეკლესიები, მთელ საქართველოში მხოლოდ სვანეთში დგას.

სვანური გვარები ცისა და მიწის შვილთა გვარობაა, მათ უკავშირდება და მათგან მოდის.ამიტომ ბოლოვდება „ან“-ზე და „იან“-ზე, რაც ნიშნავს ფუსდის ძეს – მირონცხებულს მამაზეციერის მიერ.

სუანი-შუანი: „სუ-შუ“ ორივე წყლის ღვთაების სახელია და უკავშირდება ცის ღმერთს, რომელიც უპირველესი ღვთაებაა ცის ასტრალურ პანთეონში. ის იწოდებოდა წყლისა და დროის ჟამის გამგებლად, მისგან ვიღებთ ზეციურ წყალობას, მისი საღვთო ცხოველია ხარი, რომლის კულტი სვანეთში ყოველთვის გამორჩეულად იყო წარმოდგენილი.

ცის ღმერთის საიდუმლოო ენა სვანურ ენაშია დაფლული. ცაზე, მზის პლანეტის ჩათვლით, 9 პლანეტაა... ამ 9 მნათობის საფუძველზე დაყრდნობით იბერიელმა ქურუმებმა, იბერიული მათემატიკის თვლის ათობითი სისტემის ანბანი შექმნეს, ისევე, როგორც ქართული ასო-ნიშნები. მაგალითად, ქურუმი-ხევის-ზერი-100. ფალიანი პირადად დიდი ქურუმის ანუ ღვთის მსახურის შთამომავალია, რომელსაც პირდაპირ დავალებული ჰქონდა ანბანის საიდუმლოს შენახვა,დამალვა,დაფვლა.ამიტომაც უწოდეს (უ) ფალი-ანი, (უმაღლესი პირველი ღმერთის და ანბანის უძველესი სახელი), „დამალეო“, „შეინახეო“...

ფალიანების ისტორიული გვარი მრავლისმეტყველია და სვანეთში მეტად პოპულარული და ავტორიტეტული გვარია.

ისტორიული წყაროები მოგვითხრობენ ფალიანის გვარზე „ფალიანი გავაშელ მოწამე სეტისა და ლაღამის ხევთა შორის დადებული საერთპირო დაწერილისა XIV-XV საუკუნეებში. „მოურავი ლენჯერელთა და სეტიელთა შორის სანადირო ადგილზე, დავის შემდეგ შერიგებისა და დაწერილისა“. მიქაელ ფალიანი იყო თავმდები ქოჩარიანთა მიერ ივანე სეტიელისთვის მიცემული სათიბის ნასყიდობის დაწერილისა“ (ვ.სილოგავა. „სვანეთის წერილობითი ძეგლები“, 1 ტ.1988).

X საუკუნის ტყავზე დაწერილ მესტიის სახარებაზე მინაწერია: „მულახის მუჟალის მესტიის ერთობილმან მოქალაქემან მოგეცით თქვენ ქველი ფალიანს მტკიცე და უქცეველი მას ჟამსა უდეს ზერ ყიფიანი შეგაკუდათ,ავიღეთ სისხლი და დღეის იქით არა დაგრჩა ჩვენი სისხლი...“

მეცნიერები ამ წარწერამ გააკვირვა, მის მიხედვით ორი საზოგადოება იღებს ყიფიანის „წორს“ (სისხლის ფასს), რაც სვანეთის ცხოვრებაში არაჩვეულებრივ მოვლენად ჩაითვლება“. (ეგ. გაბლიანი. „ძველი და ახალი სვანეთი“ 2010 წ).

რაც შეეხება სეტელთა შტოს, ამ გვარის შესახებ სვანურ ისტორიაში დაცული წყაროები 70-ზე მეტ ინფორმაციას გვაწვდის.

ფალიანების გვარის მიერ ერთობლივად შენარჩუნებული და შექმნილია ზოგადეროვნული არამატერიალური და მატერიალური ძეგლები:

სეტის წმინდა გიორგის ტაძრის შენარჩუნება;

ასევე შენარჩუნებულია 8 საგვარეულო კოშკი და საცხოვრებელი კომპლექსი, რომელსაც დღესაც პირნათლად უვლიან და პატრონობენ;

მოლჯგრაგა (რელიგიურ-სტრატეგიული სოციალური მოვლენაა);

მოლჯგურაგუ გვარებია ფალიანი, რატიანი, მჭედლიანი, ნიგურიანი, მიტულიანი.

ფალიანების საგვარეულო კავშირი-საძმო ათეული საუკუნის წინათ დაიბადა და ამ დრომდე ტრადიციების შესაბამისად, მეტ-ნაკლები ავთენტური სახით ახერხებს შიდა ურთიერთობების რეგულირებას, გვაროვნული წეს-წყობილების მართვის სახით. ფალიანების საძმო-სამხუბ ხუთი ნაყრისგან შედგება: ფალიანშა, ნუსაანშა, სოლთანშა, სოხშა და სეტელშა. გვარის განაყარი შტოს სახელი ძირითადად კაცის სახელით არის წარმოდგენილი.

ფალიანის გვარის ისტორია ისეთივე ძველი და მრავლისმთქმელია, როგორც საქართველო.



გეგი ფალიანი

გვარი ქართველთა ეთნოგრაფიული ყოფის განვითარების და ისტორიული პერიპეტიების ამსახველი საისტორიო გადმოცემების ცოცხალი მატიანეა.

აბსოლუტური მონარქიის პირობებში მესტიის ძირძველი გვარები (მესტიის სოფლები/სეტი „დაუბეგრავი“ იყო. ფლობდნენ და განაგებდნენ მიწებს, შესაბამისად არ ჰყავდათ ბატონი. სწორედ აქიდან მოდის ტერმინად ქცეული გამონათქვამი „უბატონო სვანეთი“. თვით გვარის „ფალ“ ფუძე, არის არა მარტო ამ გვარის ფუძე, არამედ მისგან წარმოშობილი ძე, ელი და შვილზე დაბოლოების გვარებისაც. ესენია ფალელი, ფაილოძე, ფალიაშვილი...

ფალიანების დიდი დამსახურებაა უძველესი ზოომორფული დროშის შენარჩუნება, ასევე სეტის წმინდა გიორგის ეკლესიის ჯვარხატთა დაცვა და შენარჩუნება.

უახლოეს წარსულში პატრიარქის ლოცვა-კურთხევით დაიწერა წმინდა გიორგის ხატი.

საეკლესიო პირები, საზოგადო მოღვაწეები:

ქარიმან სეტიელი/სეტელი – ისტორიული ფიგურაა.

წერილობითი წყაროები, საისტორიო გადმოცემები და კონსტანტინე გამსახურდიას ისტორიული რომანი – ტეტრალოგია „დავით აღმაშენებელი“ გადმოგვცემენ და ინახავენ საარქივო მასალაზე აგებულ ცნობებს ისტორიულ ფიგურაზე ქარიმან სეტიელზე, მეფე დავით აღმაშენებლის ჩუხჩარხზე (ჩუხჩარხი – მოხელე ფეოდალურ საქართველოში), რომელსაც ძირითადად მეფის დაცვა ევალებოდა... საისტორიო გადმოცემები მოგვითხრობენ, ამ პიროვნების დიდ გავლენებზე, ძლევამოსილებასა და მხედართმთავრულ ნიჭიერებაზე **(საკითხს კომპეტენციის ფარგლებში მიმოიხილავს როზეტა გუჯეჯიანი ნაშრომში: „დიდგორის „ძლევაი საკვირველის“ მოტივები ტრადიციულ ქართულ ყოფაში“.)**.

სეტიელები – გვარის ერთ-ერთი თემი სვანურად – სეტელშა ქართულად – სეტიელი, საუკუნეების განმავლობაში იყვნენ სვანეთის ქორეპისკოპოსები. შუა საუკუნეების XVI-XVII საუკუნეების მიჯნაზე ფალიანების (ფალიანშა) გვარის მიერ არის გადარჩენილი სეტიელების ერთადერთი მემკვიდრე, როცა აჯანყებული მესტიის სოფელმა სეტიელების სახლეული ამოწყვიტა. სეტიელების ბავშვის გადარჩენას ფალიანებმა საკუთარი შვილი ანაცვალეს და აჯანყებულ სოფელს საკუთარი შვილი გადასცეს მოსაკლავად (**ეს ნამდვილი ამბავი სოსო ჯაჭვლიანმა საფუძვლად დაუდო ფილმს ,,სვანი“**). ვალერი სილოგავას და პავლე ინგოროყვას მიერ შესწავლილ-დათარიღებული დაცული სვანეთის წერილობითი ძეგლების უმრავლესობა შედგენილია სეტიელებზე და მოგვითხრობენ მათ ყოფით პერიპეტიებს და თემის სიძლიერეზე. ასეთივე მრავალფეროვანია საისტორიო გადმოცემები ამ თემის შესახებ, რაც დღემდე დაცულია სახალხო მთქმელთა ზეპირ გადმოცემებში და აღწერილი აქვს ეგნატე გაბლიანს. თემის შესახებ წარწერათა რაოდენობა და გავლენა გახდა საფუძველი ელენე კავლელაშვილის ნაშრომის შექმნისა, სახელწოდებით: – „სეტიელები და სვანეთის საისტორიო აქტების ქრონოლოგიის საკითხები (XIV-XV საუკუნეებში)“; საისტორიო წყაროებში სეტიელები ქორეპისკოპოსებად იწოდებიან. სეტიელი ქორეპისკოპოსთა შესახებ პირად ნარკვევს ნაშრომის სახით გვაწვდის გერონტი გასვიანი: – „ნარკვევები შუა საუკუნეების სვანეთის ისტორიიდან“, რასაც ადასტურებს საგვარეულო აკლდამის სეტის წმინდა გიორგის ეკლესიის ეზოში აღმოსავლეთ მხარეს მდებარეობაც და ცნობილი სპილენძის აკლდამა, რომლის წარწერაც ინახება სახელმწიფო მუზეუმში, დათარიღებულია XII-XIII საუკუნეებით.

სეტიელთა შტოს უკანასკნელ მოძღვარს გიორგის საეკლესიო განათლება მიღებული ჰქონდა ჯრუჭის სამონასტრო კომპლექსში. გადმოცემებით, დაცული ფოტო ასახავს საოცარ ვარცხნილობას, რომელიც ადასტურებს პიროვნების განდობილობას. გარდაიცვალა 1918 წელს და დაიკრძალა საგვარეულო აკლდამაში. გარდაცვალებიდან ათეული წლის შემდგომ ზემოაღნიშნული სპილენძის ოქროს წარწერებიანი აკლდამა გაიხსნა მასში სხვა ამავე გვარის წარმომადგენლის დასაკრძალად, ცხედარი გაუხრწნელი დახვდათ და მღვდელი გიორგი სეტელი-ფალიანი აღარ გადაასვენეს.



სოფო ფალიანი

სეტის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის, (შუა საუკუნეებში სამონასტრო-საგანმანათლებლო კომპლექსი-სვეტიცხოვლის სახიზნარი) მცველები. წმინდა გიორგის მოწამე გვარები „მოჯგრააგა“/„ლელჯრაგა“ ორგანიზაციის თემის წინამძღოლი გვარად იყო ფალიანი. საისტორიო წყაროებში მოხსენიებულია ექვსი თემი/გვარები: ფალიანი, რატიანი, მჭედლიანი, ნიგურიანი, სეტიელი (დღეს ფალიანები) და გადაშენებული გვარი მიტულიანი. საკითხთან დაკავშირებით ნაშრომები მოამზადეს ექვთიმე თაყაიშვილმა, ვერა ბარდაველიძემ, ივანე ჯავახიშვილმა,ელენე კავლელაშვილმა, ზურაბ ჭუმბურიძემ და ა. შ.

დღეს ანჩისხატის ეკლესიის მოძღვარია მამა მირიან ფალიანი.

ფალიანების მცირერიცხოვან გვარს შეუძლია იამაყოს სახელოვანი წინაპრებით. სვანეთის სინამდვილეში ამ გვარის წარმომადგენლები იყვნენ მოწინავენი ყოველ საქმეში და დღესაც არაერთ სფეროში წარმატებულად მოღვაწეობენ. მათ შორის არიან:

**ილია ფალიანი** რომელიც გახლდათ, მრავალმხრივ განათლებული საზოგადო მოღვაწე, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ერთგული თანამებრძოლი. პოეტი, მწერალი, ინჟინერი, დრამატურგი, ლოტბარი, მომღერალი, ხიდებისა და შენობების მცირე ჰესების მშენებელი, პედაგოგი, მეწარმე, მეცენატი, სამხედრო პირი, მაღალ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე წარმატებული მოხელე საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ...

ფალიანების გვარი მდიდარია სხვადასხვა პროფესიის სახელოვანი ადამიანებით: მათ შორის არიან მედიცინის მეცნიერებათა დოქტორები **ვალენტინა, ფირან** და **ნინო** (კლინიკა „ხერხემალის“ დამაარსებელი და დირექტორი) **ფალიანები.**

სვანური სამართლის უბადლო მცოდნეები და მედიატორები იყვნენ **ფილიპე, ოდისე, შალვა, გუა, ნოე, იაგორ, სამიონ, შარდენ, ვასილ, იონა ფალიანები,** მათი თაოსნობით „მოლჯგრააგამ“ კომუნისტური რეჟიმის შემოსვლისას მესტიის სვეტის ჯგრააგის (წმ. გიორგის) ეკლესიის სიწმინდეებს საფრთხე აარიდა და სიწმინდეები მურყვამებში (კოშკებში) გადაიტანეს და იქ შეინახეს.

გეოლოგიური სამმართველოს დირექტორი იყო, სვანეთში ძვირფასი ლითონების და ქვების აღმომჩენი **ჯარახმად ფალიანი;**

რესპუბლიკის დამსახურებული მშენებელი გახლდათ **შამილ ფალიანი;**

ყოველმხრივ წარმოსაჩენი ადამიანები არიან პოეტები **ილია, თამარ, ედუარდ, ოთარ ფალიანები;**

სამაგალითო პიროვნება იყო **ისმაილ ფალიანი** – იგი ყოფილი მილიციის უფროსი, ყირიმის ომიდან ოქროს ჯვრით დაბრუნდა და სეტის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის საგანძურის მცველად მუშაობდა. დაიღუპა განძის დაცვისას შეტაკებაში.

1991 წლიდან მოყოლებული, დამოუკიდებელი საქართველოს სამხედრო მფრინავი იყო პოლკოვნიკი **ფრიდონ ფალიანი;**

**ვაჟა ფალიანი, ანდრია** და **ალექსანდრე ფალიანები** 1937 წლამდე მოსამართლედ და პროკურორად მუშაობდნენ. შეეწირენ ბოლშევიკების რეპრესიებს.

**აღათი ფალიანი** პირველი სვანი იყო, რომელმაც XIX საუკუნის ბოლოს მოსკოვში ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტი დაამთავრა.

**სელიმხან ფალიანი** დამსახურებული მათემატიკოსი, მრავალგზის ორდენოსანი პედაგოგი გახლდათ.

კულტურის სფეროდან უნდა გამოვყოთ ხალხური სიმღერების შემსრულებლები **ვარდენ,** (დოლარეს), **ნათელა, ვალია ფალიანები,** მესტიის მუზეუმის დირექტორი **დალი ფალიანი,** მხატვარი **ბაია ფალიანი,** მესტიის კულტურისა და ხელოვნების თეატრის დირექტორი **გეგი ფალიანი,** ფილოლოგი, სამართალმცოდნე, ფოლკლორისტი **სოფიო ფალიანი.** ფილოსოფოსი და მუსიკათმცოდნე **ნანა ფალიანი,** საჯარო სამსახურის წარმომადგენლები მოსე, **ნათელა, მიხაი ფალიანები.**

**კარლო ფალიანი** ჟურნალ „მნათობის“ ერთ-ერთი პირველი რედაქტორი გახლდათ, ხოლო **ედუარდ ფალიანი** პოეტი, სამედიცინო და სამხედრო წიგნების მთარგმნელი და რედაქტორი იყო.

ქუთაისის მერად მუშაობდა **ნუგზარ ფალიანი, ლაშ**ა და **ინგა ფალიანები** საგარეო საქმეთა სამინისტროში მოღვაწეობდნენ.

**შამშე ფალიანი** მუზეუმს ხელმძღვანელობდა.

ფალიანებს ღირსეული წვლილი აქვთ შეტანილი ქართული სპორტის განვითარებაში. მათ შორის არიან 2001 წლის მსოფლიოს ჩემპიონი, ევროპის სამგზის ჩემპიონი, ოლიმპიური თამაშების მონაწილე, სპორტის დამსახურებული ოსტატი **რამაზ ფალიანი.** ასევე სახელოვანია **ზურიკო, მირზა, შალვა ფალიანების** მიღწევები კრივში.

**ნათელა (დოხა) ფალიანი** თხილამურებით ასპარეზობაში საბჭოთა კავშირის სპორტის ოსტატი იყო, ხოლო ქართულ ჭიდაობაში სვანეთიდან პირველი ფალავანი იყო **ნოე ფალიანი,** შთამბეჭდავი წარმატებები ჰქონდა აგრეთვე მოჭიდავე რონალდ ფალიანს.

უდავოდ საამაყოა ისიც, რომ ფალიანების გვარის ყველა მამაკაცი აქტიურად იბრძოდა საქართველოს ერთიანობისათვის ბრძოლის წინა ხაზზე. **ღმერთმა დალოცოს და გაამრავლოს ფალიანების არცთუ მრავალრიცხოვანი, მაგრამ სახელოვანი გვარი. არ მოჰკლებოდეთ სიკეთე, სიყვარული და ბედნიერება.**

**ვალერიან ლომიძე,**
საქართველოს
დამსახურებული ჟურნალისტი

# რიჰა... თენდება

**მირონ ხერგიანზე უნდა გესაუბროთ, ბატონებო, მწერალზე, რომელმაც უამრავ ჭირსახდელს გაუძლო, სანამ ქართულ მწერლობაში შემოაბიჯებდა და იქ დაიმკვიდრებდა თავს.**

**ეს შემოქმედი მწერლობაში სვანეთიდან მოვიდა, საქართველოს ამ უმშვენიერესი და, ამავდროულად, უმკაცრესი კუთხიდან და თან მოიყოლა მშობლიური მურყვამებისა და მაჩუბების სიმტკიცე და ხიბლი, სვანური მთების სიდიადისა და სინათლის განცდა, განცდა ყოველივე იმისა, რაც ასწლეულების განმავლობაში დარაჯად და მეციხოვნედ ედგა ქართულ სულიერებასა და ზნეობრიობას...**

თუ გსურთ, ბოლომდე ჩაწვდეთ ამ ჩინებული შემოქმედის სულს, გირჩევთ, მისი „ოქროს ჭედილა ანუ სვანური აზმანი“ წაიკითხოთ. ხედავთ, თქვენმა მონა-მორჩილმა ამ ლიტერატურული ტექსტის ჟანრის განსაზღვრაც კი ვერ მოახერხა. რომანია, ავტობიოგრაფია, ეპოქის რეტროსპექტივა, ლირიკული პოემა თუ? უნდა ვაღიარო, რომ დავიბენი, მაგრამ გულწრფელად ვიტყვი: ამ ნაწარმოების კითხვისას თვალზე ცრემლი არ შემშრობია და არც ყელზე მოწოლილ ვეება ბურთსა თუ გორგალს მოუცია ამოსუნთქვის უფლება. „ოქროს ჭედილა...“ დასაწყისშივე გძაბავთ და ბოლომდე საკუთარ ტყვეობაში ყავხართ, იმდენად დიდია მასში ტრაგიზმისა და ადამიანური უსასოების განცდა, რომელიც ამასთანავე ორგანულად ერწყმის ქართულ ვაჟკაცობასა და ქედუხრელობას, ქართული სულის სიდიადეს. ნახეთ, როგორ იწყება ეს წყევლაკრულვიანი ტექსტი:

**„შფოთიან ხეობებში გაბნეულო სამონაგრო ბილიკებო! გაგონდებათ, ალბათ, ჯეილებში გარეული ბერიკაცი, თქვენი ერთგული თანამგზავრი. გახსენდებათ, ალბათ, ჩემთა წინაპართა „რიჰა!“** – გამთენიის სიმღერა; წეროებივით ჩაწალიკებულნი და ჩუმად მოღიღინენი ანდეზე რომ მოუყვებოდნენ უჩინარ წავარნებზე სამონაგრო ბილიკებს ბარისაკენ... მათ ფეხქვეშ იზილებოდა კოლხეთის ჭაობები, ზღვისპირეთის ნესტიანი მიწები, საგულდაგულოდ გაპირულ სვანურ ცელებს მწარე ხრშიალი გაუდიოდათ კავკასიონის ქედს გადაღმა – ჟეგემისა და ყარაჩაის ღალიან ველებზე, სულაც არ ეთაკილებოდათ დღიური მუშის უმწეო და გაუხარელი ყოფა, კაცურად ღვრიდნენ ოფლს, წელზე ფეხს იდგამდნენ, მზეზე ნათელი და რვალზე გამძლისი სიმართლის შუქი მეგზურობდათ, ვითარცა ენგურის სრბოლვას, მათ სწრაფვასაც ვერავინ შეაჩერებდა. როგორც კი ყველიერის მზე იძალებდა, თოვლი შელხვებოდა, ლომის ხეობის ქანჩახები მხრებს შეიბერტყავდნენ და როდის-როდის, ქარაფებზე ბედისწერასავით დაკიდული ბილიკებიც დაჩნდებოდა, ისინიც აიკრავდნენ გუდანაბადს და შინისაკენ გამოსწევდნენ, გაზაფხულის მაცნეებად მოევლინებოდნენ მთათა ქვეყანას. ნაირნაირი საქონლით დატვირთულებს, ოფლში გახვითქულებს, მართლაც ერთი ხალთა სიხარული მოჰქონდათ ჯალაბისათვის, მაგრამ... რაოდენ უსასრულო და დამთრგუნველი იყო ეს მოლოდინის წუთები!.. გადმოვდგებოდით ყორზე ნინველა სახლიკაცები, კისერწაგრძელებულნი და თვალმოწკურულნი გავცქეროდით შორეთს – ბარიდან მომავალ მამას პირველი ვინ დაინახავსო..“

**როგორ გვძაბავს და გვაფორიაქებს ეს პირველივე სტრიქონები ნაწარმოებისა, რომელიც ბოლომდე დაჭიმული სიმივითაა. შეიძლება ითქვას, რომ ის მირონ ხერგიანის ცხოვრების უმთავრეს წიგნს წარმოადგენს, მის ლიტერატურულ სახეს, თუ გნებავთ, დიდ მწერლობაში შესასვლელ საშვს.**

მანამდე კი მწერალმა ხანგრძლივი, რთული და საინტერესო მწერლური ცხოვრებით იცხოვრა. მისი პირველი ლექსი 1962 წელს გამოქვეყნდა ჩვენი დედაუნივერსიტეტის გაზეთში და, უნდა ითქვას, რომ მირონ ხერგიანის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში ლომის წილი სწორედ უნივერსიტეტში გატარებულმა წლებმა შეიტანა. აქ ჩამოიქნა მისი მწერლური და პიროვნული თვისებები, რომლებიც დღემდე მოჰყვება ამ ნიჭიერ შემოქმედს.

მართლაც რომ მშვენიერი პროზაიკოსია მირონ ხერგიანი. მისი რომანებისა და მოთხრობების კრებულები, როგორიცაა „პირველი ღამისთევა“, „თეთრი სახურავები“, „გადასასვლელი“, „ცხელი იანვარი“, „ღრუბლები შენ გქონდეს“, „ოქროსფერი რიყე“, „დამრჩომნი“, „კლდის ვეფხვი“, დასტურია იმისა, რომ მათი ავტორი სამშობლოს ბედსა თუ უბედობაზე ღრმად დაფიქრებული შემოქმედია. ამ კრებულებში შესული ნაწარმოებების უმთავრეს ღირსებას დიდი ადამიანური სიმართლე წარმოადგენს. წერს იმაზე, რაც ცხოვლად დარჩენია მის სულსა და გულს, რაც მისი საესავი სამშობლოს აწმყოსა და მომავალს სჭირდება, წერს ნათლად, ხატოვნად, მწერლური ოსტატობით. მისი მხატვრული ნააზრევიდან არ შეიძლება ცალკე არ გამოვყოთ რომანი „კლდის ვეფხვი“ – საგა სახელგანთქმულ მთასვლელ მიხეილ ხერგიანზე, ლეგენდად რომ იქცა სრულიად საქართველოსთვის. ამ რომანმა არაერთ გამოცემას გაუძლო და ცალკე წიგნებადაც გამოიცა ინგლისურ და რუსულ ენებზე.

მირონ ხერგიანი ბრწყინვალე პუბლიცისტია, რისი დასტურიცაა მისი პუბლიცისტური კრებულები („სადამდე ივლის ქარავანი“, „წიწამურიდან ჩვენამდე“, „დღეს ღამე უთენებია“, „კარგ ყმად ვინა ვთქვათ“... „წეროების პოლიგონი“, „პირმზითნი“), რომლებშიც ქვეყნის სატკივარით გულგასენილი ერისკაცის ნააზრევია დაუნჯებული, ერისკაცისა, ვინც ჯიუტად ეძიებს სამშობლოს გადარჩენის გზებს.

ერთადერთი პოეტური კრებული გამოსცა და მის წამკითხველს უთუოდ გაუჩნდება კითხვა, თუ რატომ არ გააგრძელა პოეტური კარიერა ამ უდავოდ ნიჭიერმა მწერალმა.

მირონ ხერგიანმა ჩინებულად თარგმნა კიპრიან ეკვენსისა და ლეოპოლდ ზახერ-მაზოხის რომანები, უკრაინელი, აზერბაიჯანელი, დაღესტნელი, რუსი და ოსი მწერლების ნაწარმოებები, მისი კინოსცენარის მიხედვით შეიქმნა სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „უმზაზე ძლიერნი“...

ასეთი მწერალია ბატონი მირონი, ხელხვავიანი და მრავალწახნაგოვანი შემოქმედი. და რა სასიამოვნოა, რომ მისი მრავალწლიანი ღვწა მწერლურ თუ საზოგადოებრივ სარბიელზე ღირსეულად დაფასდა. მას მინიჭებული აქვს საქართველოს სახელმწიფო, საქართველოს მწერალთა კავშირისა (3) და ნიკო ნიკოლაძის სახელობის პრემიები, ქართული კულტურის ამაგდარის საპატიო წოდება. დაჯილდოებულია დამოუკიდებელი საქართველოს ერთ-ერთი უპირველესი ჯილდოთი – ღირსების ორდენით.

გულდასაწყვეტია, რომ სიჭარმაგეში ფეხშედგმულ შემოქმედს ბედისწერამ დიდი განსაცდელი მოუვლინა თავს, თუმცა ქართველი კაცის შეუპოვრობითა და ქედუხრელობით ებრძვის ტკივილებს, გულში ჩახვეულ დარდსა და ვაებას, არ ნებდება და არ იჩოქებს. მასში კვლავაც ძალუმად ბობოქრობს ადამიანური ვნებები, ახდენილი თუ აუხდენელი ოცნებანი, სვანეთის მთები დღესაც ამაღლებენ, თავისკენ უხმობენ და ეძახიან თავის სისხლსა და ხორცს, მათ გარემოცვაში რომ ჩამოიქნა და ჩამოყალიბდა ქართული მიწის ერთგულ მეციხოვნედ.

**მირონ ხერგიანი ახლა 80 წლისაა და ისევ დამრჩენია, სულიერი მხნეობა და ქედუხრელობა ვუსურვო ამ ჩინებულ მწერალსა და მამულიშვილს.**

**ზაალ ბოტკოველი**



## მირონ ხერგიანი

### ბიჭი, რომელიც მალავდა ფეხებს... ანუ პირველი დღე სკოლაში

**(ნაწყვეტი წიგნიდან – ოქროს ჭედილა ანუ სვანური აზმანი)**

**კვლავ ის შეგრძნება, –**
**მახსოვრობის ბნელით მოცულ**
**ლაბირინთიდან**
**ამოიხნავლეს მიყოლებით**
**დამთრგუნველმა ეპითეტებმა...**
**სკოლის ეზოში მორცხვად აწურულს,**
**ფეხშიშველას და გადაცრეცილ**
**პერანგ-შარვლიანს,**
**როგორ დაგნამეს მოწოლილმა**
**სიმწრის წვეთებმა!**
**ორღობეებში ტანტალისგან**
**ქუსლებდახეთქილს,**
**უზრად მიყრდნობილს ჩვენი სკოლის**
**დანგრეულ ყორეს,**
**ღმერთმა შეუნდოთ არდანდობა**
**და გამეტება! –**
**თანატოლებმა სიცელქით თუ**
**მიამიტობით**
**მწარე ქოქოლა**
**სეტყვასავით შემოგაყარეს.**

**სიტყვებს მაგიურს,**
**დაუნდობელს და**
**სულისშემძვრელს,**
**რაკუნ-რაკუნი გასდიოდათ**
**დამცავ მინაზე...**
**ენარცხებოდნენ გავეშებით**
**გულის საქარეს –**

**ჰა, ეგეც ჩვენი**
**ლანჩვალელი ყაზილარიო!**
**ბიჭებო, ერთი გზა უტიეთ,**
**განი-განიო!**
**გინახავთ სადმე უსირცხვილო**
**მაგითანაო?!**
**ფეხშიშველა და ტყიურივით**
**ტიტლიკანაო,**
**ფუღუროს მუნჯი ვადიდაიო,**
**ტიტყიგაიო, ტიტყიგაიო,**
**უუსირცხვილო ტი-ტყი-გაიო!..**

**ზეობდა სკოლა,**
**იდგა ერთი სიცილ-ხარხარი,**
**აბურთავებდა მესტია-ჭალა**
**სიმღერის მარცვლებს,**
**თეთნულდის ფერდზე მზეს გაჰქონდა**
**თეთრი ნამხარი...**
**სექტემბრის დილას,**
**ლაჟვარდოვან დროების მაცნედ,**
**სანუკვარ ხმაზე შემოჰკრავდა**
**პირველი ზარი...**
**შენ კი რა მწარედ დაიკოდე,**
**საცოდავო,**
**მაინც რა მწარედ,**
**ვით სასიკვდილოდ დათოფილი**
**გულში - არხარი...**

**...ჰა, ეგეც, ჩვენი**
**ლანჩვალელი ყაზილარიო,**
**ბიჭებო, ერთი გზა უტიეთ, –**
**განი-განიო!**
**არც ვინ იქნება უსირცხვილო**
**მაგითანაო –**
**ფეხშიშველა და ველურივით**
**ტიტლიკანაო –**
**ტიტყი-გაიო, ტიტყი-გაიო,**
**უუსირცხვილო, ტი-ტყი-გაიო!..**

### გარინდება...

**არც რამ ზღვის სიოს დაუქროლია,**
**არც რამ კირჩხიბი**
**მომწყდარა ციდან,**
**სულ სხვა რამ იყო**
**გარინდების მიზეზი თურმე –**
**მინდორზე გოგომ ჩამოიარა,**
**თეძოთა რხევით ჩამოიარა,**
**კაბის ფრიალით ჩამოიარა!..**

**გადიწკაპუნა ოქროს წვიმამ**
**ღოლონარ მოლზე,**
**თეთრმა რაშებმა**
**ქარაფებზე გაითქარუნეს,**
**ივრის ლაქაშებს ჩაუქროლა**
**წეროთა გუნდმა...**
**სულ სხვა რამ იყო**
**გარინდების მიზეზი თურმე –**
**მინდორზე გოგომ ჩამოიარა,**
**მხრებზე ეფინა ბულულა თმები,**
**ჩიქილა ძოწისფერი ებურა,**
**პერანგზე წვიმის ღილი ებნია,**
**ღაწვებზე ლალის თრთვილი ებნია,**
**უნაზისფერი ედო სახეზე...**

**აბა, სად იყვნენ სანატრელი**
**ანგელოზები,**
**აღარც სად კრთოდა ნაპერწკალი**
**ელვა-მეხისა,**
**მზეც საზლარდნელში**
**გასუდრულიყო...**
**სულ სხვა რამ იყო**
**გარინდების მიზეზი თურმე –**
**მინდორზე გოგომ ჩამოიარა,**
**ნამიან მდელოს უგავდა მკერდი,**
**ზედ წყვილი ქამა დაყუნცულიყო,**
**ცირცელისფერი ჰქონდა ტუჩ-ბაგე,**
**თვალები ჰქონდა შალშავისფერი...**

**მთიდან მომწყდარი მობღაოდა**
**ღელე ზაქივით,**
**თამელის ბუჩქი თელიანში**
**კვარივით ენთო.**
**სულ სხვა რამ იყო**
**გარინდების მიზეზი თურმე –**
**მინდორზე გოგომ ჩამოიარა,**
**თეძოთა რხევით ჩამოიარა,**
**კაბის ფრიალით ჩამოიარა!..**
**მხრებზე ეფინა**
**ბულულა თმები,**
**ჩიქილა ძოწისფერი ებურა,**
**პერანგზე წვიმის ღილი ებნია,**
**ღაწვებზე ლალის თრთვილი ებნია,**
**უნაზისფერი ედო სახეზე.**
**ნამიან მდელოს უგავდა მკერდი,**
**ზედ წყვილი ქამა დაყუნცულიყო,**
**ცირცელისფერი ჰქონდა ტუჩ-ბაგე,**
**თვალები ჰქონდა შალშავისფერი...**

**მხილველმა ყოვლი სილამაზის,**
**მშვენიერების**
**და ზეაღვსილმა**
**სიცოცხლის ეშხით,**
**ჩემად ვიწამე**
**სამყარო მთელი.**
**ვითარც წარმართმა,**
**ჩავიმუხლე სველ ბალახებში**
**და ღმერთს ვუმღერე**
**ოქროსფერი საგალობელი...**

# საქართველოზე დიდი მწერალი ჯერ არ დაბადებულა!..

## „როგორ შეიძლება, ლექსი ვწერო და დაჭერის და დაბეზღებების მომხრე ვიყო, მაგრამ, დამნაშავე რომ უნდა დაისაჯოს, მაგას რად უნდა ლაპარაკი“



(პირველი გვერდიდან)

**– „ნაციონალების“ წარუმატებელი პერმანენტული საპროტესტო აქციების შემდეგ „ქართული ოცნების“ მომხრეებიც ქუჩაში გამოვიდნენ. როგორ ფიქრობთ, დადგა იმის დრო, ხალხმა კონტრაქციებით გამოხატოს პროტესტი ყველაფერ იმის წინააღმდეგ, რასაც „ნაცმოძრაობა“ და მათი სატელიტი არასამთავრობოები გვთავაზობენ წლების განმავლობაში? უნდა დამთავრდეს თუ არა ის დრო, როცა მხოლოდ „ნაციონალები“ გამოდიან ქუჩაში და შეცდომაში შეჰყავთ საერთაშორისო საზოგადოება, თითქოს მხოლოდ ისინი ქმნიან პოლიტიკურ ამინდს?**

– მე დაგეგმილი აქციების არ მწამს. როცა ქვეყანას უჭირს, ქართველი კაცი, და არა რომელიღაც პარტია, მაშინვე უნდა გამოვიდეს ქუჩაში. ამაზე დიდი გაჭირვება ჩვენ არ გვექნება. ვერავის მოვუწოდებ აქციებზე გამოსასვლელად, რადგან ყველაფერს იყენებს „ნაციონალური მოძრაობა“, რომ საპროტესტოდ გამოსულ ხალხს ამოეფაროს და გვერდით დაუდგეს. მე, როგორც რიგით ქართველს, რიგით მწერალს, ჩემი ქვეყნის გადარჩენა მაინტერესებს, დანარჩენი, ამათი დათქმული საპროტესტო თარიღები არ ვიცი. ზოგადად, პროტესტი მაქვს დაბადებიდან დღემდე, როცა ქვეყანა იღუპება.

ვხედავ იმასაც, რომ ცალკეული ადამიანები აწყობენ აქციებს, რომელთა მიერ მოწყობილი აქციებისაც არ მჯერა, ზოგიერთმა მათგანმა თავის დროზე თავისთანაც დამიბარა, მაგრამ არ ვესტუმრე. მე იმდენ საპროტესტო აქციაზე ვარ გამოსული, რომ არ მინდა, ქუჩაში მოვკვდე! აბა, ვინ იცის, ჩვენ როგორ ვედექით გვერდით ძვირფას ზვიად გამსახურდიას. მე დაღლილი ვარ უკვე აქციებით. რასაკვირველია, თავს შევაკლავ საქართველოს მტერს, მაგრამ რაც შეგვეძლო ჩვენ, უკვე გავაკეთეთ, დღეს უკვე ჩვენ აქციაზე გამომსვლელი ხალხი აღარ ვართ, ჩემი ასაკის ხალხს ვგულისხმობ და ჩვენი დამჯერიც არავინ არის, რომ დაგვიჯეროს ვინმემ.

**– ზვიად გამსახურდიას დროინდელი აქციები აღარასდროს განმეორდება, იქ სულ სხვა მუხტი იყო და იმდროინდელი ლიდერებიც საუკუნეში ერთხელ იბადებიან. მაშინდელი აქციების ფონზე დღევანდელი ნებისმიერი აქცია შეიძლება კვაზიაქციად მოგეჩვენოთ.**

– გეთანხმებით, როგორ შეიძლება ზვიადის დროინდელი აქციები განმეორდეს. იქ იყო პატრიოტიზმი, უანგარობა, ჩვენც გამოვდიოდით მიტინგებზე, მაგრამ მანქანებს კი არ ვწვავდით. როგორ გეკადრებათ? მე არ ვარ ვიღაცების ადვოკატი და მოსამართლე, მაგრამ როგორ, ახლა აქციებზე საკუთარი ნამოქმედარის გამო რომ პასუხს მოგთხოვენ, მაგდენი არ უნდა გესმოდეს? მანქანას რომ წვავ, პასუხი არ უნდა აგო? რა გამოდის ეს?

**– ამ შემთხვევაში, მთავარი დამნაშავე ოპოზიციაა, „ნაციონალებმა“ აიყოლიეს ახალგაზრდები და ცრუ გმირობისკენ უბიძგეს მათ. თუმცა თვითონ დაუსჯელად დადიან.**

– გასაგებია, რომ „ნაციონალებმა“ აიყოლიეს, მაგრამ იგივე „ნაციონალები“ „გამოუშვებენ“.. აგერ, ხომ ხედავთ, ხაზეიშვილი რა დღეშია. მიტინგების დანიშვნამ 35 წლის მანძილზე ისე გამტანჯა, ნაკლებად მაინტერესებს. ჩემი სურვილია, ქვეყანამ როგორმე გამოსავალი იპოვოს, თორემ ქუჩაში დგომით, როგორც ჩანს, არაფერი გამოდის.

**– ხშირად გვესმის, რომ 7- 8 მარტის აქციებზე ახალგაზრდები შეცდომაში იყვნენ შეყვანილნი. თუმცა ზოგჯერ ფიქრობ, რომ მოსაზეზრებელიცაა ამ ახალგაზრდების გამართლება საკუთარი ასაკის გამო, ბოლოს და ბოლოს, ერეკლე მეფეც მათი ასაკის იყო, როცა სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვან საქმეებს აგვარებდა, 15 წლის ასაკში შედგა მისი საბრძოლო ნათლობა, როცა არასრულწლოვანმა უფლისწულმა ქიზიყს შესეული ლეკები კახელი მხედრების მცირე რაზმით დაამარცხა...**

– ყოველ დროს იყვნენ შეცდენილებიც და რაღაცით დაინტერესებულებიც. მე ერთი რამ ვიცი, რომ ყველა ჭეშმარიტი გული, როცა ქვეყანას ტკიოდა, მაშინ გამოდიოდა აქციებზე. მაგან დაგვღუპა, რომ ერთმანეთის მაგივრად ვაგებთ პასუხს, ყველა ადამიანი საკუთარი თავის წინაშე უნდა აგებდეს პასუხს. 7- 8 მარტის აქციებზეც ვინ რა პატრიოტიზმით და რა მოტივით გამოდიოდა, ეს მათ სინდისსა და მათ ადამიანობაზე უნდა იყოს. ეგ ძალიან ძნელი გასარკვევია. ახლა ამბობენ, რომ ჩვენი ქვეყნის ომში ჩათრევა სურთ. ჩვენ ომი გვაკლია? ისედაც ომში ჩათრეულნი არ ვართ? კიდევ ვიომოთ? ვისაც ომი უნდა, ის სამშობლოსთვის ყოველთვის იომებს, არა ხმლით და არა საბრძოლო იარაღით, არამედ თავისი სინდისით, მართალი სიტყვით, კაცობით. რაღა დროს ბარბაროსული ომია.

აგერ, ბარბაროსული ომი ვინც გააჩაღა, რა მდგომარეობა იქმნება, კი ხედავთ, მსოფლიო გადანაწილებაზეა საუბარი, არც უკრაინაა შუაში და არც არავინ. როცა ომში ჩათრევაზე ვლაპარაკობ, კონკრეტულ ომს არ ვგულისხმობ, უბრალოდ, ვთვლი, რომ როცა ქვეყანა იღუპება, ომია, აბა, სხვა რა არის?! ჩვენ არავის დაპირისპირება არ გვაწყობს. ღმერთმა დამიფაროს, რუსულიც კი არ ვისწავლე მე თვითონ რუსეთის სიძულვილის გამო. ვის დავეტრაბახო ამით, ან ეს რა სატრაბახოა.

**– ზოგიერთი ადამიანი 9 აპრილის შემდეგ რუსულად საერთოდ არ ლაპარაკობს და ამით გამოხატავს პროტესტს ოკუპანტის მიმართ.**

– მესმის, მაგრამ მე ცალკეული რუსების გამო პუშკინს ვერ შევიძულებ. ისე, ყველა ენაზე მოლაპარაკე საქართველოს მტერი არ გვახსოვს სულ უახლოეს წარსულში? ამიტომ ენების ცოდნას, ამ თვალსაზრისით რა მნიშვნელობა აქვს?

**– ალბათ, სააკაშვილს გულისხმობთ. სხვათა შორის, ცალკეული სასულიერო იერარქები უცხოეთში სამკურნალოდ მის გადაყვანას ითხოვენ. მათი მოთხოვნა შეცვლის ვითარებას იქიდან გამომდინარე, რომ სასულიერო პირები მაინც ანგარიშგასაწევ ძალად ითვლებიან საქართველოში?**

– სასულიერო პირები უკვე არანაირ ანგარიშგასაწევ ძალად არ ითვლებიან. უფრო მეტიც, აღარავინ აღარ არის ძალა. ძალა არის ის, ვინც მართალს ამბობს, გინდა სასულიერო პირი იყოს, გინდა საერო. თვითონ სასულიერო პირებს შორისაც დიდი სხვაობაა.

**– საქართველოში უკმაყოფილება მატულობს იმის გამოც, რომ დასავლეთიდან დირექტივებს ვიღებთ, ელჩებიც კი ზედმეტად მიკერძოებულად ერევიან ჩვენს შიდა საკითხებში, მოითხოვენ სააკაშვილის, გვარამიას გათავისუფლებას, ერევიან სასამართლო საქმეებშიც... ჩნდება კითხვა, ჩვენ დამოუკიდებელი ქვეყანა ვართ, თუ თავი გვგონია დამოუკიდებლად?**

– მე ახლა რა მეხუმრება, მაგრამ ყველამ თავის მამიდას მიხედოს, იმათ რა ენაღვლებათ, მე არ დამიჭერია ეგ ხალხი და ვერც გამოვუშვებ ციხიდან, მეც არც არავის დაჭერის და დასჯის მომხრე არ ვარ. როგორ შეიძლება, ლექსი ვწერო და დაჭერის და დაბეზღებების მომხრე ვიყო, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, დამნაშავე რომ უნდა დაისაჯოს, მაგას რად უნდა ლაპარაკი.

ფაქტია, რისთვისაც ჩამოვიდა სააკაშვილი საქართველოში, ამოყო თავი იქ, სადაც ახლა არის. მის პერიოდში უამრავი დანაშაული იყო ჩადენილი, მე ათი წელი ვებრძოდი სააკაშვილის რეჟიმს, გადაშალონ გაზეთები და ნახონ ჩემი წერილები. ყველა რომ პატრიოტობს ახლა, ასე არ არის. სააკაშვილი აღარ არსებობს ჩემთვის...

ესაუბრა
**მანანა ნოზაძე**

# 2022 წელს საქართველოს მოსახლეობა უცხო ქვეყნების მოქალაქეობის მქონე იმიგრანტთა ხარჯზე „გაიზარდა“!!!



**სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა საქართველოს მოსახლეობის 2023 წლის 1 იანვრისთვის არსებული მდგომარეობის შესახებ მონაცემები გამოაქვეყნა.**

სტატისტიკის თანახმად, **2023 წლის პირველი იანვრისთვის საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობამ შეადგინა 3 მილიონ 736 ათას 400 კაცი, რაც წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით 1.3%-ით მეტია.**

**აღსანიშნავია, რომ 2022 წელს დადასტურდა უარყოფითი ბუნებრივი მატება (-6 799) და დადებითი მიგრაციული სალდო (54 509).**

**2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, საქართველოს მოსახლეობის 60.4 პროცენტი ცხოვრობს საქალაქო დასახლებებში. ამასთან, ქ. თბილისის მოსახლეობა მთლიანი მოსახლეობის თითქმის მესამედს შეადგენს.**

**2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, 0-14 წლის მოსახლეობის წილი მთელ მოსახლეობაში 20.7%-ს შეადგენს, შრომისუნარიან ასაკში მყოფი მოსახლეობის წილი (15-64 წლის ასაკობრივი ჯგუფი) – 63.8%-ს, ხოლო 65 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი – 15.6%-ს.**

**2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, კაცების რიცხოვნობამ 1 793.8 ათასი შეადგინა, ხოლო ქალების რიცხოვნობამ – 1 942.5 ათასი. ამასთან, საქართველოს მოსახლეობის 48 პროცენტი კაცი, ხოლო 52 პროცენტი – ქალია.**

**სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის მაჩვენებელი 92-ს შეადგენს, რაც იმას ნიშნავს, რომ ყოველ 100 ქალზე 92 კაცი მოდის. აღსანიშნავია, რომ 35 წლამდე ასაკში კაცების რიცხოვნობა აღემატება ქალების რიცხოვნობას, ხოლო 35 წლის ასაკიდან სახეზე გვაქვს საპირისპირო სურათი, რაც გამოწვეულია კაცებთან შედარებით ქალების უფრო მაღალი სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობით.**

**წინა წელთან შედარებით, 2022 წელს სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა 2.3 ერთეულით გაიზარდა და 73.7 წელი შეადგინა, მათ შორის კაცებისათვის – 69.4 წელი, ხოლო ქალებისათვის – 78.1 წელი.**

**2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, საქართველოს მოსახლეობის მედიანური ასაკი შეადგენს 38 წელს.**

**2022 წელს, ემიგრანტების რიცხოვნობამ 125 269 კაცი შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით 25.3 პროცენტით მეტია, ხოლო იმიგრანტების რიცხოვნობა 142.9 პროცენტით გაიზარდა და 179 778 კაცი შეადგინა.**

**ამავე პერიოდში, იმიგრანტების 84.3 პროცენტი და ემიგრანტების 86.7 პროცენტი, შრომისუნარიან ასაკში მყოფ მოსახლეობას (15-64 წლის ასაკობრივი ჯგუფი) წარმოადგენენ.**

**2022 წელს, იმიგრანტების 30.3 პროცენტს, ხოლო ემიგრანტების 80.5 პროცენტს საქართველოს მოქალაქეები წარმოადგენენ.**

**საქართველოში 2022 წელს უცხო ქვეყნების მოქალაქეობის მქონე 125 313 კაცი შემოვიდა, 37 114 კი გავიდა.**

**საქართველოში შემოსულ უცხო ქვეყნის მოქალაქეთა რაოდენობა გასულთა რაოდენობას 88 199-ით აღემატება.**

**საქართველოში 2022 წელს უცხო ქვეყნიდან 54 405 საქართველოს მოქალაქე დაბრუნდა, 100 802-მა კი ქვეყანა დატოვა. საქართველოში უცხო ქვეყნებიდან დაბრუნებულ საქართველოს მოქალაქეთა რაოდენობას საქართველოდან უცხო ქვეყნებში წასულთა რაოდენობა 46 397-ით სჭარბობს.**

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი
საქპატენტი
SAKPATENTI
NATIONAL INTELLECTUAL PROPERTY CENTER OF GEORGIA
www.sakpatenti.org.ge

# საქონლის ადგილწარმოშობის დასახელების რეგისტრაციაში ცვლილების შეტანა

# ზეგაანი

**(რეგ. №982; თარიღი: 30.08.2022 წ.)**

სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნების და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2023 წლის 19 აპრილის №3002/06 ბრძანების საფუძველზე, ცვლილება შევიდა საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრში – „საქპატენტში“ რეგისტრირებული ადგილწარმოშობის დასახელების ღვინო „ზეგაანის“ წარმოების სპეციფიკაციაში.

აღნიშნული ინფორმაცია, „საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ქვეყნდება საქართველოს სამრეწველო საკუთრების ოფიციალურ ბიულეტენსა და ერთ ცენტრალურ გაზეთში. მასალების გამოქვეყნებიდან 3 თვის ვადაში საქპატენტში წარმოდგენილი შენიშვნები და დამატებითი ინფორმაცია შესასწავლად გადაეგზავნება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს. თუ 3 თვის განმავლობაში საქპატენტში არ შემოვა რაიმე ინფორმაცია აღნიშნულ მასალებთან დაკავშირებით, გამოქვეყნებული მონაცემები ღვინის ადგილწარმოშობის დასახელების „ზეგაანის“ შესახებ აისახება ადგილწარმოშო

**სპეციფიკაციის მე-4 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

**4. წარმოების გეოგრაფიული არეალი და ზონები**

ზეგაანის მიკროზონა მდებარეობს გომბორის ქედის ჩრდილო-აღმოსავლეთ კალთაზე. ჩრდილოეთიდან მას ესაზღვრება ჭერმისხევი, დასავლეთიდან და სამხრეთ-დასავლეთიდან ესაზღვრება სარწყავი არხი, რომელიც მიემართება სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით, კვეთს წმინდა გიორგის ეკლესიისკენ მიმავალ გზას და მისგან 100 მეტრის შემდეგ საზღვარი უხვევს ჩრდილო-აღმოსავლეთით, ხოლო 387 მეტრის ნიშნულზე უხვევს მართი კუთხით ჩრდილო-დასავლეთით სარწყავი არხის პარალელურად ნავისწყლის ხევამდე. ამის შემდეგ საზღვარი მიუყვება ნავისწყლის ხევს აღმოსავლეთით რკინის გზამდე, ხოლო შემდეგ ის მიუყვება რკინიგზას ჩრდილო-დასავლეთით ჭერმისხევამდე.

სპეციფიკაციის თანდართული რუკა შეიცვალოს შემდეგი სახით:




# განცხადება
# აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[I]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს ირაკლი დვალის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ირაკლი დვალი (პ/ნ 01006007616), თბილისი, გრიგოლ რობაქიძის გამზ. №7, სართ. 3, ბინა №22

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**
თბილისი, გრიგოლ რობაქიძის გამზ.№7, სართ. 3, ბინა №22 (საკადასტრო კოდი: 01.13.04.007.012.01.022).

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 258237.31 ლარი.
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2023 წლის 28 აპრილი, 14:00 საათი.
**4. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2023 წლის 11 მაისი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP88736523;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 887365
6. **მოვალე:** ირაკლი დვალი (პ/ნ 01006007616), თბილისი, გრიგოლ რობაქიძის გამზ. №7, სართ. 3, ბინა №22;
შპს „მანავის ფერმა“ (ს/ნ 402195655), თბილისი, გრიგოლ რობაქიძის გამზ. №7, სართ. 3, ბინა №22;
თარაშ დვალი (პ/ნ 01005040965), თბილისი, გრიგოლ რობაქიძის გამზ. №7, სართ. 3, ბინა №22
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.
8. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი 17თ 1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP88736523; ლოტის ნომერი: 887365).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2023 წლის 11 მაისის 12:00 საათამდე.

# განცხადება
# აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[I]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს მესამე აუქციონს ირაკლი მითაგვარიას საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ირაკლი მითაგვარია (პ/ნ 19001066103), ზუგდიდი, ს. კახათი, მ. კოსტავას ქ. №69

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**
ზუგდიდი, ს. კახათი (საკადასტრო კოდი: 43.17.45.476 https://naprweb.reestri.gov.ge/ - /search).

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 2000 ლარი.
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2023 წლის 28 აპრილი, 16:00 საათი.
**4. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2023 წლის 11 მაისი, 16:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP88736823;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 887368
6. **მოვალე:** ირაკლი მითაგვარია (პ/ნ 19001066103), ზუგდიდი, ს. კახათი, მ. კოსტავას ქ. №69
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.
8. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP88736823; ლოტის ნომერი: 887368).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2023 წლის 11 მაისის 12:00 საათამდე.

მუნდიალი

# ახლოა იაპონია!




**მსოფლიოს 2023 წლის საკალათბურთო ჩემპიონატის ჯგუფური ეტაპის წილისყრის შემდეგ გაირკვა საქართველოს ნაკრების მეტოქეთა ვინაობა.**

ჩვენი გუნდი, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონატზე ისტორიაში პირველად ითამაშებს, F ჯგუფში მოხვდა, სადაც მისი მეტოქეები სლოვენიის, ვენესუელისა და კაბო ვერდეს ნაკრებები იქნებიან. ცნობილია ისიც, რომ ილიას ზუროსის გუნდი იაპონიაში, კერძოდ, ოკინავაში ითამაშებს.

**A ჯგუფი**

ანგოლა, დომინიკის რესპუბლიკა, ფილიპინები, იტალია.

**B ჯგუფი**

სამხრეთ სუდანი, სერბეთი, ჩინეთი, პუერტო რიკო.

**C ჯგუფი**

აშშ, იორდანია, საბერძნეთი, ახალი ზელანდია.

**D ჯგუფი**

ეგვიპტე, მექსიკა, მონტენეგრო, ლიეტუვა.

**E ჯგუფი**

გერმანია, ფინეთი, ავსტრალია, იაპონია.

**F ჯგუფი**

სლოვენია, კაბო ვერდე, **საქართველო**, ვენესუელა.

**G ჯგუფი**

ირანი, ესპანეთი, კოტ დივუარი, ბრაზილია.

**H ჯგუფი**

კანადა, ლატვია, ლიბანი, საფრანგეთი.

შეგახსენებთ, რომ საკალათბურთო მსოფლიოს ჩემპიონატი 25 აგვისტოდან 10 სექტემბრის ჩათვლით გაიმართება. ტურნირზე ყველა ადგილი უნდა განაწილდეს, ამიტომაც საქართველოს ნაკრები ტურნირზე ასპარეზობას იმ შემთხვევაშიც გააგრძელებს, თუ პირველ ჯგუფურ ეტაპს ვერ გადალახავს.

თითოეული ჯგუფიდან მეორე რაუნდში ორ-ორი საუკეთესო გუნდი გავა. შედეგად, 16 ნაკრები ოთხ 4-გუნდიან ჯგუფში განაწილდება, საიდანაც ორ-ორი საუკეთესო პლეი-ოფში, უფრო კონკრეტულად კი მეოთხედფინალური ეტაპიდან გააგრძელებენ ჩემპიონობისთვის ბრძოლას. თავის მხრივ, ის ნაკრებები, რომლებიც პირველ ჯგუფურ ეტაპს ვერ დაძლევენ, სე-17-32-ე ადგილებისთვის ბრძოლას დაიწყებენ და ოთხ 4-გუნდიან ჯგუფში განაწილდებიან.

აქვე ვთქვათ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატი ფილიპინებში, ინდონეზიასა და იაპონიაში ჩატარდება.

* * *

საქართველოს საკალათბურთო ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ილიას ზუროსმა** მსოფლიოს ჩემპიონატის ჯგუფური ეტაპის წილისყრა შეაფასა. როგორც ბერძენმა სპეციალისტმა აღნიშნა, მისი ამოცანაა, საქართველოს ნაკრების თამაშებით ქართველებმა იამაყონ.

„შესარჩევი ეტაპის დასრულებისასაც აღვნიშნე და ახლაც გავიმეორებ – საქართველოს ნაკრებისთვის ამ მსოფლიოს ჩემპიონატს დიდი მნიშვნელობა აქვს. ჩვენი გუნდი ხომ ისტორიაში პირველად ითამაშებს მუნდიალზე.

უნდა ვეცადოთ, რომ სიამოვნება მივიღოთ ყოველი წამით, რომელსაც ამ ტურნირზე გავატარებთ. ჩვენი ამოცანაა, საქართველოს ნაკრების თამაშებით ყველა ქართველმა იამაყოს.

დღეს მეტოქეების გაანალიზება რთული საქმეა. თუმცა სლოვენიას ყველა კარგად იცნობს. ძალიან ძლიერი გუნდია ლუკა დონჩიჩითა და სხვა ვარსკვლავებით. რაც შეეხება ვენესუელას და კაბო ვერდეს, ორი რთული მატჩი გველის. ხალხმა უნდა იცოდეს, რომ ყველა გუნდი, რომელმაც მსოფლიოს ჩემპიონატის საგზური მოიპოვა, ძლიერი და ბრძოლისუნარიანია.

კაბო ვერდეს ჰყავს ედი ტავარეში, ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესო წინახაზელი, რომელიც მადრიდის „რეალის„ ღირსებას იცავს. კაბოვერდელთა ნაკრებში სხვა კარგი კალათბურთელებიც თამაშობენ.




**ვენესუელა სწრაფი და ძლიერი გუნდია, რომელიც ნებისმიერ მეტოქესთან ბოლომდე იბრძვის. მან ფორუმს მიღმა არგენტინა დატოვა! საქართველოს ნაკრები ყველა მატჩში გამარჯვებისთვის იბრძოლებს და ვნახავთ, რას მივაღწევთ ჩვენს პირველ მსოფლიოს ჩემპიონატზე**“, – თქვა ზუროსმა.

ფარიკაობა

# სტაბილური ბაზაძე

**ქართველმა მოფარიკავემ სანდრო ბაზაძემ სამხრეთ კორეის გრან პრიზე ვერცხლის მედალი მოიპოვა.**

რეიტინგის ლიდერმა ჯერ მასპინძელი ჯუნჰო კიმი 15:14 დაამარცხა, ნახევარფინალში კი იტალიელ მატეო ნერის ასევე 15:14 აჯობა. სანდრო ფინალში სამხრეთკორეელ სანგუკ ოს შეხვდა, რომლის წინააღმდეგ დაძაბულ ბრძოლაში 14:15 წააგო.

აქვე გეტყვით, რომ ბაზაძემ ალჟირსა და ტუნისში ოქროს, ხოლო ორლეანსა და ბუდაპეშტში ვერცხლის მედლები მოიპოვა. ქართველი მოფარიკავე მსოფლიოს თასის ლიდერია და ზედიზედ მეათე ტურნირზე მოხვდა საუკეთესო სამეულში.

თბილისი – 2023

# მედლებიც, რეკორდიც

**საქართველოს პარაწოლჭიმის ნაკრები გუნდის ანგარიშზე პრესტიჟული ფორუმის ორი მედალი და ევროპის რეკორდია.**

**აჰმად რაზმაზარი** თბილისი – 2023-ის მსოფლიოს თასის გამარჯვებული და ევროპის რეკორდსმენია. ჩვენმა პარასპორტსმენმა -80 კგ. წონით კატეგორიაში 211 კგ. დაძლია, თავისივე რეკორდი გააუმჯობესა და ევროპის რეკორდსმენი გახდა.

**შოთა ომარაშვილმა** (-80კგ) 160 კგ. აწია და თბილისი 2023-ის მსოფლიოს თასის გათამაშების ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.



დებიუტი

# ტალანტი 15 წლისაა

**ესპანეთის ლა ლიგის 33-ე ტურში „ბარსელონამ“ „ბეტისი“ 4:0 გაანადგურა. კატალონიელებმა ძალიან იოლად მოუგეს მეტოქეს. კრისტენსენმა, ლევანდოვსკიმ და რაფინიამ პირველივე ტაიმში გადაწყვიტეს შეხვედრის ბედი, მეოთხე გოლი კი საკუთარ კარში როდრიგესმა გაიტანა.**

სტუმრები 33-ე წუთიდან კაცნაკლულები დარჩნენ. მსაჯმა დროის ამ მონაკვეთში ორი ყვითელი ბარათი უჩვენა ედგარ გონსალესს.

საინტერესოა, რომ „ბარსელონას“ შემადგენლობაში დებიუტი ჰქონდა 15 წლის თავდამსხმელს სლამინ იამალს. მან 83-ე წუთზე გავი შეცვალა. იამალი ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელი გახდა კლუბის ისტორიაში, ვისაც პრიმერაში უთამაშია.

ოვალური ბურთი

# მეორე მარცხი

**ქარიან მონტევიდეოში შავი ლომი სუდამერიკა XV-ს ერაგბა. ისტორიული ტურნეს მე-4 მეტოქე სამხრეთამერიკული ნაკრები იყო (ბრიტანელი ლომების მსგავსი), რომლის ისტორიაც 1980 წლიდან იწყება და უწინ ბოკესათვისაც კი უმასპინძლია. მათი ახლანდელი ფორმებიც ძველ ყაიდაზე იყო გაწყობილი, ოღონდ ეგაა, ჩვენი საყვარელი და მეტად რაგბული საყელო მაინც აკლდა.**

ჩვენებმა ტრავმებისა და სხვა მიზეზთა გამო გუნდი გვარიანად გადაახალისეს – დამწყები 15-დან 9 კაცი შევცვალეთ. შავ ლომს პირველად კაპიტნობდა მიხეილ ნარიაშვილი, 15-ეულში დაბრუნდა ნაკრების და ფრენჩაიზის საუკეთესო მელელოვე აკა ტაბუცაძე, ხვამლიდან ახლად გამოძახებული საბა კურტანიძის დებიუტი კი დასკვნით 7 წუთში შედგა.

თამაში მოსალოდნელზე უფრო ლაღი გამოდგა, გუნდები ჯარიმებს კიდეებზე ურტყამდნენ, მაგრამ მონტევიდეოს ქარმა ოვალი რამდენჯერმე ლელოს კიდესაც გადააცილებინა. ხელოვნურ-საფარიანი მოედნის დარად, ვერც მსაჯობა იყო ხეირიანი, ვიდეო-რეფერიც პირველსავე გადამოწმებაზე ატყობინებდა მსაჯს, მადლიანმა ESPN-მა კი ტელეეტაბლო მთელი თამაში არ გვაღირსა.

პირველი ტაიმი პირქარში ვითამაშეთ, მეტოქე ჯახში დავჯაბნეთ და ლელომაც არ დაახანა; ჯერ ლომიძე მიეძალა ცენტრში, შემდეგ მ.ბაბუნაშვილმა და ნარიაშვილმა აუბეს მხარი, ხოლო შეჯგუფებული მეტოქე ჩვენმა მგეზავმა გრძელი პასით მოჭრა და ტაბუცაძეს პირველი ლელო გაატანინა – (5:0),

ნახევარი საათი ჯახსა და ჭიდილში გავატარეთ, საწყის 2 შერკინებაში მასპინძლები პირნათლად დავაჯარიმეთ, მაგრამ მსაჯი უმალ სტვენდა ჩვენ პატარა დარღვევებზეც კი, ისე, რომ ორჯერ კარგად აგორებული მოლით გატანილი ლელოები, ტელე-რეფერის დახმარებით, ორივე ბლოკად გაგვისაღა, აქაოდა ახალი მოლი ჩამოყალიბდა, ხოლო ბურთიანი კაცის წინ მდგომები მეტოქეს უღობავდნენ გზასო.

ამის შემდეგ დაცვაში მოგვიწია გამაგრება. 5 წუთი ჩვენს 5-მეტრიანს ვიცავდით, მაგრამ ცოტა რომ დავიღალეთ, მაშინ გაყოჩაღდა მეტოქე და ტაიმის ბოლოს ჯერ რაქებიდან აიღე და მიეძალეთი დაგვიდეს ლელო, შემდეგ კი მოლით დაგვაფინიშეს – (5:14), ოღონდ ეგაა, ტელე-რეფერიმ ამ შუალედშიც 2 ლელო გააუქმა, და ისიც პირველივე გადამოწმებაზე – ჯერ მეტოქემ ჩინებული ბურთაობით დაგვიდო ლელო, ჩვენებმაც, აქაოდა არავისზე ნაკლებად არ ვიცით პასაობაო, შემდეგსავე შეტევაზე ხაზის დახმარებით მორკინალებმა გაილაღეს, მაგრამ მსაჯმა მოდებაძის პასი ოდნავ წინ იყოო.

მეორე ტაიმში მაისაშვილმა ლიდერები შემოიყვანა, მგეზავად ლუკა მატკავა, ხოლო ცენტრში, კაპიტანი მერაბ შარიქაძე გაამწესა. თამაშსაც ეგრევე დაეტყო ცვლილებები – მატკავამ ჰაერში მოხსნილი ბურთი მოდებაძეს გადააწოდა, მოდებაძემ ფრთისკენ შეტევაში მარგალიტაძე ჩართო, რომელმაც ოვალი ოსტატურად დაუგორა ტაბუცაძეს, ხოლო ტაბუცაძემ ბურთი მუხლით აიგდო და ლელოში შეინავარდა – (12:14), რითიც შავი ლომის ბომბარდირობა დაიბრუნა: 19 თამაშში 16 ლელო.

ხაზმა კიდევ უფრო გაილაღა, როდესაც ხაზზე გათამაშებული ბურთი შარიქაძემ ტაბუცაძეს შეუბრუნა, მაგრამ ვიდეომ აქაც პასი წინ იყოო. შემდეგ ბედი მოლში ვცადეთ, საიდანაც მოულოდნელად მამამთავრიშვილი მოეხსნა და ეულად ლელოში აღმოჩნდა – (17:14).

55-ე წუთისთვის ხაზმა ისევ იყოჩაღა და ერთი ფლანგიდან მეორეზე გათამაშებულმა კომბინაციამ შედეგი იოლად გამოიღო, მაგრამ საქმეში ისევ ტელე-რეფერი ჩაერთო და ამ თამაშში ოდენ მე-5 (!) ლელო გაგვიუქმა.

ოდნავ გაბრაზებულნი მსაჯთან საუბარს შევყევით, მეტოქემაც იგრძნო ჩვენი უკმაყოფილება და თავის თამაშში მარტივად აგვიყოლია, ფეხით დარტყმებს მოუკლო, ჯარიმებს სწრაფად ათამაშებდა და ყველანაირად ცდილობდა რაქში ბინძური თამაშით წყობიდან გამოვეყვანეთ. 70-ე წუთზე სწარაფად გათამაშებული ჯარიმა ვერ დავიცავით და მათმა კაპიტანმა მეტოქე დააწინაურა – (17:21).

ჩვენების პასუხმაც არ დააყოვნა, მოგერიებულის დაფარების შემდეგ ბურთი აქეთ-იქით ჩავათამაშეთ, მეტობა შევქმენით და თაფლაძემ ორი მბოჭავი მარტივად გააბითურა – (24:21)

არც მეტოქე გატყდა, სწრაფი თამაშის შემდეგ დაგვაჯარიმეს, ბურთი კიდეზე დაარტყეს და იქიდან აგორებული მოლით მეორედ დაგვალელოვა ჩილელმა აგუსტინ ბომემ, რომელიც 2 კვირის წინ სელკნამის სახელით გვერაგბა, სახრეთელმა 10 ნომერმა კი 4-დან 4 გარდასახვა გაგვიტანა (24:28). ბოლო შეტევებზე ჩვენი შანსი ვერ გამოვიყენეთ, მსაჯმაც ბევრი სცოდა, მეტოქემ დრო გაიყვანა და გადაცილებულზე კიდეზე გადაიტანა.

ამრიგად, შავი ლომი სამხრეთამერიკულ ტურნეზე ბოლო და ყველაზე საინტერესო თამაშის მოლოდინშია. ჩვენი შემდეგი მეტოქე, მასპინძელი, ურუგვაული ფრენჩაიზი პენიაროლია, რომელიც შავი ლომის დარად, ან უფრო მეტადაც, ურუგვაის ნაკრების ბირთვია. თამაში შაბათს, 6 მაისს 22.00 საათზე დაიწყება, რითიც შავი ლომის ტურნე სამხრეთში დასრულდება, ჩვენი ბიჭები სამშობლოს დაუბრუნდებიან, ცოტას დაისვენებენ და შემდეგ მსოფლიოს თასისთვის მომზადებას შეუდგებიან.

# საქართველოსა და შუა დერეფანზე მოთხოვნა უკრაინაში ომის დასრულების შემდეგაც იქნება

(მეორე გვერდიდან)

**„ჩვენს დერეფანში ტვირთების ნაკადის გადმომისამართება არის ძალიან პოზიტიური ფაქტი და მომავალშიც ასე დარჩება, რადგან ცენტრალური აზიის ქვეყნები დივერსიფიკაციას აუცილებლად გააკეთებენ“,** – აღნიშნა ბურდილაძემ.

ამავე დროს, ქვეყანა უნდა აჰყვეს გაზრდილ მოთხოვნას და გაიზარდოს საქართველოს რკინიგზის გამტარუნარიანობა, დაემატოს ახალი ტერმინალები და სხვა.

შუა დერეფანთან დაკავშირებულ პერსპექტივაზე საუბრობენ გადამზიდავებიც, რომელთა ინფორმაციითაც მოთხოვნა ყოველთვის იქნება, მაგრამ მთავარია შემხვედრი ნაბიჯების გადადგმა და გამოწვევებისთვის თავის გართმევა, რაც ჯერჯერობით ვერ ხერხდება.



როგორც Logistics Solution-ის დამფუძნებელმა, **ირაკლი ცანკაშვილმა** თქვა, ტვირთის იძულებითმა ზრდამ „შუა დერეფნის“ გადატვირთვა და ხარვეზები გამოიწვია.

**„ტვირთბრუნვა, რა თქმა უნდა, გაზრდილია იძულებითი პირობებით, რაც რეგიონშია შექმნილი, რუსეთ-უკრაინის ომის სახით. ამ ყველაფერმა ჩვენი დერეფნის გადატვირთვა გამოიწვია, ის თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმზე მუშაობს, თუ უფრო მეტად არა. რა თქმა უნდა, არის გარკვეული ხარვეზები, როგორც საგზაო ინფრასტრუქტურის, ასევე სარკინიგზო ინფრასტრუქტურისა და პორტების კუთხით. ასეთ ტვირთბრუნვას, სამწუხაროდ, მოუმზადებლები შევხვდით“,** – აღნიშნა ცანკაშვილმა.

მისი აზრით გაზრდილი ტვირთნაკადისთვის მომზადება არა ომის დღეებიდან, არამედ გაცილებით ადრე უნდა დაწყებულიყო, რადგან საქართველოსთვის ტრანზიტი ერთ-ერთი მთავარი სფეროა, საიდანაც ქვეყანა შემოსავალს იღებს.

**„საქართველოსთვის ერთ-ერთი მთავარი სფერო, საიდანაც შეიძლება, რომ მან შემოსავალი მიიღოს, არის ტრანზიტი და მისი გეოლოკაცია. ჩვენ არ ვართ ინდუსტრიული ქვეყანა, წარმოება დიდი არ გვაქვს, ამიტომ, ძირითადად, დამოკიდებულები ვართ ტურიზმზე და ტრანსფერსა და ლოჯისტიკაზე.**

**რა თქმა უნდა, ომის დაწყებიდან ერთ წელიწადში ვერ მოხერხდებოდა ახალი პორტის მშენებლობა, ახალი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება, ავტობანებისა და სარკინიგზო ხაზების გაყვანა. ისიც გასაგებია, რომ ერთი წლის წინ, თებერვლის დასაწყისში, ვერავინ იფიქრებდა, რომ ომი დაიწყებოდა. ამიტომ, ამ მიმართულებით მუშაობა მუდმივი უნდა იყოს და ეს წლების განმავლობაში უნდა ყოფილიყო დაგეგმილი. მაგალითად, რომ გვქონოდა ალტერნატიული პორტი, კიდევ უფრო მეტ ტვირთს მივიღებდით, გადავამუშავებდით და კონკურენციაც უფრო მაღალი იქნებოდა“,** – აღნიშნა ცანკაშვილმა.

**„ჩვენ ახლა გვაქვს კარგი შანსი, რომ იძულებითი ტვირთი შევინარჩუნოთ. მომხმარებელი დავაინტერესოთ და შევაჩვიოთ საქართველოს. ომი სულ ხომ არ იქნება? ოდესმე დასრულდება და ტვირთმფლობელი არ უნდა ელოდებოდეს მის დასრულებას მხოლოდ იმისთვის, რომ ძველ მარშრუტს დაუბრუნდეს. დარწმუნებული ვარ, როდესაც რუსეთი გაიხსნება და სანქციებიც მოეხსნებათ, ისინი ყველაფერს გააკეთებენ ძველი სტატუსის აღსადგენად. ამიტომ, ჩვენც ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ ტვირთი შევინარჩუნოთ“,** – დასძინა ირაკლი ცანკაშვილმა.

შუა დერეფანი – უფრო ზუსტად, „ტრანსკასპიური საერთაშორისო სატრანსპორტო გზა“ – გვერდს უვლის როგორც ჩრდილოეთის (ძირითადად რუსულ) დერეფანს, ისე ტრადიციულ საზღვაო მარშრუტს ინდოეთის ოკეანეში. იგი ასევე გვერდს უვლის სანქციებით დასუსტებულ ირანს.

**ტრანსპორტირების (ლოჯისტიკური) საერთაშორისო კომპანია „მაერსკის“ თანახმად, რომელიც გასული წლიდან აქტიურად იყენებს ამ მარშრუტს, – ჩინეთიდან ევროკავშირამდე „შუა დერეფნით“ ტრანსპორტირებას 40 დღე სჭირდება. მარშრუტი კი ასეთია:**

**– ჩინეთ-ყაზახეთის საზღვრის კვეთის შემდეგ, კონტეინერები მატარებლით მიდის კასპიის ზღვის სანაპიროზე, ყაზახეთის საპორტო ქალაქ აკტაუმდე;**

**– აკტაუში ტვირთი გადაიტვირთება ბარჟაზე და ბაქოს მიმართულებით მიდის;**

**– ბაქოდან კვლავ რკინიგზით მიემართება ფოთის პორტისკენ;**

**– ფოთიდან, გადატვირთვის შემდეგ, კვლავ ზღვით მიემართება რუმინეთში, კონსტანცის პორტში;**

**– კონსტანცის პორტიდან კი სხვადასხვა გზით ნაწილდება ევროპის სხვადასხვა დედაქალაქში.**

**– ბაქოდან ტვირთის ნაწილი თბილისის გავლით პირდაპირ, სარკინიგზო გზით მიემართება თურქეთის ქალაქ ყარსისკენ...**

**ბექა დანელია**



**საქართველოს ენერგეტიკის ვეტერანთა კავშირი მწუხარებას გამოთქვამს გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, საქართველოსა და უცხოეთის რამდენიმე დარგობრივი აკადემიების აკადემიკოსის, სემეკის პირველი შემადგენლობის წევრის, ენერგეტიკის დარგში მრავალი სამეცნიერო პუბლიკაციების ავტორის, საქართველოს ენერგეტიკის ვეტერანთა კავშირის წევრის**

## დემურ ჩომახიძის

**გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

**შალვა მგალობლიშვილი, ჟორა საღარაძე, ჯემალ უგულავა, ჯემალ მებუკე, ბეჟან უგულავა იუწყებიან მეგობრის**

## ბადრი თოფურიას

**გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ ოჯახის წევრებს.**

# ხუთი მეზობელი მოკლა და მიიმალა

**ამერიკის შტატ ტეხასში ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებულმა კაცმა ხუთი ადამიანი მოკლა, მათ შორის, 8 წლის ბავშვი.**

პოლიციის ოფიცრების ინფორმაციით, მომხდარს წინ უძღოდა კამათი, რაც ეჭვმიტანილის მიერ, ნახევრად ავტომატური იარაღიდან სროლაში ვარჯიშმა გამოიწვია. BBC-ის ცნობით, შემთხვევა პარასკევს, გვიან ღამით, პატარა ქალაქ კლივლენდში მოხდა. ადგილობრივი შერიფის გრეგ კაპერსის განცხადებით, დაღუპულებს შორის ორი ქალია, რომლებიც ორ გადარჩენილ ბავშვს იყვნენ გადაფარებული.

**„ჩემი აზრით, ისინი ბავშვების დაცვას ცდილობდნენ, რომ ისინი გადარჩენილიყვნენ“,** – განუცხადა შერიფმა ადგილობრივ რადიოს. ის ასევე დასძენს, რომ ყველა მსხვერპლს ნატყვიარი „საკონტროლო გასროლის“ მსგავსად, ძირითადად თავის არეში აქვს მიყენებული. ეჭვმიტანილი დანაშაულის ადგილიდან მიიმალა და ეძებენ...



# ერთი ერი, ორი სახელმწიფო და... ერთი მუშტი

**უახლოეს მომავალში, აზერბაიჯანში თურქული კომპანია „ბაირაქტარის“ ცენტრი დაარსდება,** – ამის შესახებ აზერბაიჯანის პრეზიდენტმა, ილჰამ ალიევმა, სტამბოლში, აერონავტიკისა და ტექნოლოგიების ფესტივალ „ტექნოფესტზე“ განაცხადა.

აზერბაიჯანის პრეზიდენტის თქმით, თურქეთი და აზერბაიჯანი ყოველთვის ერთად არიან. ალიევის განცხადებით, ორი წლის წინ შუშას დეკლარაციაზე ხელმოწერით თურქეთი და აზერბაიჯანი ოფიციალურად გახდნენ მოკავშირეები.

**„ჰეიდარ ალიევმა განაცხადა, რომ თურქეთი და აზერბაიჯანი ერთი ერი, ორი სახელმწიფოა. დღეს ჩვენ ამას ვამტკიცებთ. ჩვენი მამებისა და წინაპრების სული გახარებულია, იმიტომ, რომ თურქეთი და აზერბაიჯანი გაერთიანებულია. როგორც მამაჩემმა თქვა: „ერთი ერი, ორი სახელმწიფო“, მინდა, დავამატო, ერთი მუშტი!“** – განაცხადა ილჰამ ალიევმა.

# ზელენსკი პარტნიორების დახმარების გარეშე იმოქმედებს

**უკრაინა დაიწყებს კონტრშეტევას და არ დაელოდება პარტნიორებისგან სამხედრო თვითმფრინავების მიღებას,** – ამის შესახებ უკრაინის პრეზიდენტმა, ვოლოდიმირ ზელენსკიმ უცხოურ მედიასთან ინტერვიუში განაცხადა.

ვოლოდიმირ ზელენსკის თქმით, დასავლეთის სამხედრო თვითმფრინავები უკრაინას ომში დაეხმარებოდა, თუმცა ქვეყანა კონტრშეტევას მანამდე დაიწყებს, ვიდრე „ეფ 16“-ის ტიპის ან სხვა ტიპის სამხედრო თვითმფრინავებს მიიღებს. უკრაინის პრეზიდენტის განცხადებით, კონტრშეტევა ითვალისწინებს ყირიმის განთავისუფლებას, თუმცა, უკრაინის წარმატება დიდწილად დამოკიდებულია დასავლეთის მიერ იარაღის მიწოდებაზე. უკრაინის პრეზიდენტმა ასევე აღნიშნა, რომ ომი შეიძლება, გაგრძელდეს წლები და ათწლეულებიც კი.

# რუსული ნავთობი ინდური დიზელის სახით

**ევროპაში რუსულ ნავთობზე აკრძალვა – გასული წლის დეკემბერში, რუსეთში დამზადებულ ნავთობპროდუქტებზე კი – მიმდინარე წლის თებერვალში დაწესდა. თუმცა ევროკავშირის მიერ დაწესებული სანქციები არ კრძალავს ევროპულ ბაზარზე ისეთი ნავთობპროდუქტების მოხვედრას, რომელიც რუსული ნავთობის გამოყენებით მესამე ქვეყნების, მაგალითად, ინდოეთის ნავთობგადამამუშავებელ ქარხნებში არის დამზადებული.**

Bloomberg-ის მონაცემებით, აპრილში ინდოეთი ევროპაში მზა ნავთობპროდუქტების უმსხვილესი მიმწოდებელი გახდება. ამავდროულად, ინდოეთი რუსული ნავთობის მთავარი იმპორტიორია. ევროკავშირში დიზელის მიწოდების მხრივ ინდოეთი საუდის არაბეთსაც კი გაუსწრებს.

სტატიაში აღნიშნულია, რომ, ერთი მხრივ, ევროპას სჭირდება მესამე ქვეყნებიდან დიზელის მიწოდება, რათა აკრძალული რუსული საწვავი ჩაანაცვლოს. მეორე მხრივ, შექმნილი სიტუაცია მსოფლიოში რუსულ ნავთობზე მოთხოვნას ზრდის და სატრანსპორტო ხარჯების გამო ევროპულ ბაზარზე საწვავის თვითღირებულებას ზრდის.

# ნიკი ჰეილი: დიდი ალბათობით, ჯო ბაიდენი 86 წლამდე ვერ მიაღწევს...

„რესპუბლიკური პარტიის“ ერთ-ერთი საპრეზიდენტო კანდიდატი ნიკი ჰეილი აცხადებს, რომ დიდი ალბათობით თეთრი სახლის მოქმედი ლიდერი ჯო ბაიდენი 86 წლამდე ვერ მიაღწევს. ამის შესახებ ჰეილიმ Fox News-თან ინტერვიუში განაცხადა.

**„ბაიდენმა განაცხადა, რომ 2024 წლის არჩევნებზე იყრის კენჭს. ჩემი აზრით, ყველასათვის ნათელია, რომ თუ ჯო ბაიდენს აძლევთ ხმას, ესე იგი პრეზიდენტ კამალა ჰარისის იმედი გაქვთ, იმიტომ რომ ნაკლებად სავარაუდოა, ბაიდენმა 86 წლამდე მიაღწიოს“,** – აცხადებს ჰეილი. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა, ჯო ბაიდენმა ოფიციალურად განაცხადა, რომ 2024 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში მიიღებს მონაწილეობას. როგორც ბაიდენი ამბობს, რომ მისი კამპანიის მთავარი მიზნები – აბორტის უფლება, დემოკრატიის და ამომრჩეველთა უფლებების დაცვა, ასევე ამერიკელებისთვის სოციალური გარანტიების დაცვა იქნება. 80 წლის ჯო ბაიდენი აშშ-ის ისტორიაში ყველაზე ასაკოვანი პრეზიდენტია.

# ვარსიმაშვილის ტრიუმფი თეატრალურ ოლიმპიადაზე

**უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტში მიმდინარე X საერთაშორისო თეატრალურ ოლიმპიადაზე თავისუფალმა თეატრმა მთავარ პროგრამაში რეჟისორ ავთანდილ ვარსიმაშვილის ორი სპექტაკლი – „რიჩარდ III“ და „ოტელო“ წარადგინა.**




კულტურის სამინისტროს ინფორმაციით, ბუდაპეშტის ნაციონალური თეატრის დიდ დარბაზში გამართულ წარმოდგენებს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი თეა წულუკიანი დაესწრო. მინისტრი საერთაშორისო თეატრალურ ოლიმპიადაზე ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის მიწვევით იმყოფებოდა.

**„როგორც ცნობილია, მიმდინარე წლის 1 აპრილიდან 1 ივნისის ჩათვლით ბუდაპეშტის ნაციონალური თეატრი მასპინძლობს საერთაშორისო თეატრალურ ოლიმპიადას, რომელშიც მსოფლიოში ცნობილი საუკეთესო რეჟისორები მონაწილეობენ. აღსანიშნავია, რომ თავისუფალი თეატრი სხვადასხვა ქვეყნის იმ რამდენიმე თეატრს შორის მოხვდა, რომლებმაც ოლიმპიადაზე ორი სპექტაკლი წარადგინეს. მონაწილეთა უმრავლესობა ოლიმპიადაზე მხოლოდ ერთ სპექტაკლს უჩვენებს“...**

თავისუფალი თეატრის ორივე სპექტაკლმა დიდი მოწონება დაიმსახურა. სპექტაკლებში მონაწილეობენ მსახიობები: გოგა ბარბაქაძე, აპოლონ კუბლაშვილი, ანი ალადაშვილი, მარიამ ნადირაძე, კახა მიქიაშვილი, ჯაბა კილაძე, მარიამ ჯოლოგუა, თინათინ კორძაძე, დიმა მერაბიშვილი, გივიკო ბარათაშვილი, სალომე ჭულუხაძე და სხვ. სპექტაკლების მხატვარია მირიან შველიძე, კოსტიუმების მხატვარი – ნატალია კობახიძე.

საერთაშორისო თეატრალური ოლიმპიადა ყოველ ოთხ წელიწადში სხვადასხვა ქვეყანაში იმართება.



# დანიელები სახელოვნებო სკოლის შენობას აღადგენენ

**დანიის სამეფოში ვიზიტის ფარგლებში, კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე ელისო ბოლქვაძე დანიის სამეფოს არქიტექტურისა და კულტურის ინსტიტუტის ხელმძღვანელს არნე ჰოის და აკადემიის წარმომადგენლებს შეხვდა,** – ამის შესახებ ინფორმაციას პარლამენტის პრესსამსახური ავრცელებს.

მათივე ინფორმაციით, შეხვედრაზე ისაუბრეს ერთობლივი პროექტის შესახებ, რომელსაც აკადემია 2021 წლიდან საქართველოში, ონის მუნიციპალიტეტში „ახალი დემოკრატიის ფონდის“ მხარდაჭერით ახორციელებს. დანიელი სპეციალისტები ქართველებთან ერთად სახელოვნებო სკოლის შენობის აღდგენაზე მუშაობენ. შეხვედრის დასასრულს მხარეები სამომავლო თანამშრომლობაზე შეთანხმდნენ. შეხვედრას ესწრებოდა საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი დანიის სამეფოში ნატა მენაბდე.

# ცხენ-ირემი კინოთეატრში



**ალასკის შტატში, ქალაქ კენაიში, კინოთეატრში ცნობისმოყვარე ცხენ-ირემი შევიდა. ცხენ-ირემმა ჰოლში ჯერ ნაგვის ყუთი დაათვალიერა, შემდეგ კი მაგიდაზე დადებული სასუსნავი მიირთვა.** კინოთეატრის სათვალთვალო კამერების ჩანაწერებმა სოციალური ქსელი მალევე მოიცვა. ბოლო თვის განმავლობაში, შტატში ეს ცხენ-ირმის შენობების სტუმრობის მეორე შემთხვევაა. თავდაპირველად, ცხოველი ანკორაჯის სამედიცინო ცენტრში შევიდა.

# ერთ დღეში 10 მილიარდი დოლარი

**წარსულში Facebook-ის, ამჟამად კი Meta Platforms-ის დამფუძნებლისა და აღმასრულებელი დირექტორის, მარკ ცუკერბერგის ქონება ერთ დღეში 10.1 მილიარდი აშშ დოლარით გაიზარდა. კომპანიას მიმდინარე წლის პირველ კვარტალში გაყიდვების ზრდის დიდი მაჩვენებელი ჰქონდა.**

მოგების შესახებ ანგარიშის გამოქვეყნების შემდეგ, Meta-ს აქციების ფასმა დაახლოებით 14%-ით მოიმატა. ამან მარკ ცუკერბერგის ქონება 84.9 მილიარდ აშშ დოლარამდე გაზარდა. აღსანიშნავია, რომ ერთი დღის განმავლობაში მარკ ცუკერბერგის წმინდა ქონების რეკორდულად დიდი ზრდა 2 თებერვალს დადასტურდა და 12.5 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა. ბოლო შედეგი კი მილიარდერის ქონების ერთ დღეში ზრდის კუთხით მესამე საუკეთესო მაჩვენებელია.

# შოკოლადის მეფე



**ინგლისში ჩარლზ მესამის კორონაციის აღსანიშნავად მეფის შოკოლადის ბიუსტი დაამზადებს. ქანდაკება 23 კილოგრამს იწონის და ის ბრენდმა Celebrations-მა წარადგინა.** პროექტს შოკოლატიე ჯენიფერ ლინდსი-კლარკი ხელმძღვანელობდა. მის გუნდს ქანდაკების მოსამზადებლად 130 საათი დასჭირდა. სპეციალისტებმა ამისთვის 17 ლიტრი მდნარი შოკოლადი გამოიყენეს.

# 13 წლის გმირი



**მიჩიგანში 13 წლის ბიჭმა 60-ზე მეტი მოსწავლე გადაარჩინა, მას შემდეგ რაც სასკოლო ავტობუსის მძღოლმა გზაზე გონება დაკარგა. შემთხვევა მიჩიგანის შტატის ქალაქ უორენში მოხდა, პატარა გმირი კი დილონ რივსია.**

მოსწავლეები სკოლიდან სახლში ბრუნდებოდნენ, როდესაც ავტობუსის მძღოლმა გონება დაკარგა. ინციდენტის ამსახველ ვიდეოზე ჩანს, როგორ ატყობინებს მძღოლი ადმინისტრაციას იმის შესახებ, რომ თავს ცუდად გრძნობს. ამის შემდეგ მალევე ის გონებას კარგავს, ავტობუსში კი მოსწავლეების ყვირილის ხმა ისმის.

სკოლის ადმინისტრაციის განცხადებით, დილონ რივსმა მიირბინა ავტობუსის წინა ნაწილში, დაინახა უგონოდ მყოფი მძღოლი და ავტობუსი გააჩერა. ამის შემდეგ დილონმა სხვა მოსწავლეებს სასწრაფო დახმარების გამოძახება სთხოვა. მძღოლის მიერ გონების დაკარგვის მიზეზი ჯერჯერობით უცნობია.

# ანომალიური სიცხე ესპანეთსა და პორტუგალიაში

**ესპანეთსა და პორტუგალიაში ტემპერატურის აბსოლუტური რეკორდი დადასტურდა. ამინდზე დაკვირვების ისტორიაში პირველად ტემპერატურამ აპრილში +38,8 გრადუსი შეადგინა.**



ყველაზე მაღალი ტემპერატურა ესპანეთის ქალაქ კორდოვაში დადასტურდა. პორტუგალიაში თერმომეტრმა +36,9 გრადუსი აჩვენა. ესპანეთის ხელისუფლებამ მოსახლეობა ტყეში ხანძრის საფრთხის შესახებ გააფრთხილა. მიმდინარე წელს ესპანეთში ხანძრისგან 54 ათასი ჰექტარი ტყე განადგურდა. 2022 წელს ესპანეთში ამინდზე დაკვირვების ისტორიაში ყველაზე ცხელი ზაფხული იყო. მეცნიერები ამას გლობალურ დათბობას უკავშირებენ.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ჭავჭავაძის გამზირი №17ა

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

მთავარი რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაკიძე
597-22-07-04

ტექნიკური რედაქტორი
კახა ქორიძე

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

გამომცემლები:
შპს 100 — ახალი „საქართველოს რესპუბლიკა“ გაზეთ „ საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 3 მაისს**

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.4967; ევრო - 2.7441;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.1131;
100 რუბლი - 3.1102; თურქული ლირა - 0.1294;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4686;
1000 სომხური დრამი - 6.4606

**ამინდი 1 მაისისთვის**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | | | |
| ბარი - | ღამე | +9, | დღე | +17 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +4, | დღე | +13 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | | | |
| ბარი - | ღამე | +7, | დღე | +17 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +4, | დღე | +14 |
| თბილისი: | ღამე | +10, | დღე | +18 |

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge